# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 2 მარტი 2001 №36 (1309) | ფასი 50 თეთრი


ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

**რუსეთი - საქართველო**

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 14 საათი

# ესენი ვინ ყოფილან?!

# НЕТ!

## ყველაზე რუსული სიტყვა, რომელმაც ქართველები აღვალა, აყარა, გაყარა

გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ნაწილ-ნაწილ და არასრული შემადგენლობით შეიკრიბა კრასნოდარში, სადაც კვირას, 4 მარტს „ევროპის ერთა თასის“ მესამე ტურში რუსეთს დაუპირისპირდება. საფრანგეთში მოთამაშე 15 ლეგიონერი და 3 მწვრთნელი პარიზიდან მოსკოვის გავლით გამთენიისას ჩავიდა მატჩის ადგილზე. შუადღით მათ ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ოთხი მორაგბე და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე შეუერთდნენ. ისინი ჯერ ავტომანქანით ჩავიდნენ სომხეთის ქალაქ გიუმრიში, იქიდან კი კრასნოდარს გაფრინდნენ.

გუშინ კრასნოდარში წასასვლელად და გუნდთან შესაერთებლად რუსეთის ვიზები უნდა მიეღოთ თბილისში დარჩენილ ორ მოთამაშეს, ბესო უდესიანს და ნონო ანდღულაძეს. რუსეთის დიპლომატიურმა უწყებამ კვლავ არ მისცა მათ ვიზები და იმის იმედიც მცირეა, რომ ამას დღეს მაინც გააკეთებს. ამასობაში გაირკვა, რომ საფრანგეთიდან კრასნოდარში ნაკრებს ვერ გაჰყვა ბურჯი სოსო ნიკოლაენკო, ხოლო მის შემცვლელ ლევან ჯაველიძეს მარსელში მდებარე რუსეთის საკონსულო არ აძლევს ვიზას. ერთი სიტყვით, „ბორჯღალოსნები“ სულ 19 არიან და თამაშისას თადარიგში მხოლოდ ოთხი მოთამაშე ეყოლებათ, რუსებს კი შვიდი. დღევანდელ რაგბიში ეს საკმაოდ სოლიდური უპირატესობაა.

რუსეთის მხარე კი სულ არ ნაღვლობს ქართველთა მიმართ, მეტი რომ არ ვთქვათ, არაკორექტულ საქციელს და იქით გვდებს ბრალს. რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალური საინტერნეტო გვერდი ურცხვად ტყუის და უტიფრად აცხადებს, ქართველებმა სავიზო პრობლემის შექმნა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონო. დაგვცინიან კიდეც: ქართველებს დროზე გაეგოთ, რომ რუსეთში შემოსასვლელად ვიზები სჭირდებოდათ და თავს ასეთ დღეში არ ჩაიგდებდნენო.

სხვათა შორის, რუსები ხელწერას არ იცვლიან: შარშან ზუსტად ანალოგიური ხერხებით კრასნოდარში გერმანია მხოლოდ 18 მოთამაშით ჩაიყვანეს და არც მათი ნაკრების ირლანდიელ მწვრთნელს მისცეს ვიზა.

სიტუაციაში დაწვრილებით გარკვევა გვსურდა და ამიტომ კრასნოდარში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს. გაბრაზებულმა გეგიძემ უარესი ამბები გვითხრა:

— ესენი მთლად უსინდისოები ყოფილან. ყურადღებას საერთოდ არავინ გვაქცევს. გუნდს აეროპორტშიც კი არავინ დახვდა, გეგონება, სასეირნოდ ვიყოთ ჩამოსულები. სავარჯიშო მოედანს ახლოსაც არ გვაკარებენ. ბურთი რომ ბურთია, ისიც არ მოუციათ.



საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე რუსებმა გააბრაზეს და შეაფიქრიანეს

გაგრი ქითილაშვილის ფოტო

სასტუმროს ადმინისტრაციას ვთხოვეთ, პატარა ოთახი გამოეყო, რათა ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელს თეორიული მეცადინეობა მაინც ჩაეტარებინა. გვითხრეს, თავისუფალი ოთახი არ გვაქვსო. ეს ათსართულიან სასტუმრო „ინტურისტში“ ხდება. ბიჭებმა ფოიეში სცადეს რუსეთის თამაშის ვიდეოფირზე ყურება — იქიდანაც აგვყარეს. პარკში გვინდოდა წაგვევარჯიშა — იქიდანაც გამოგვყარეს. ვერსად გავდივართ: რუსებმა ავტობუსიც კი არ გამოგვიყვეს.

**— თქვენ ვერაფერი იღონეთ?**

— სასტუმროში შევხვდი რუსეთის რაგბის კავშირის წარმომადგენელს, ვინმე უსატოვს. ვუთხარი, ასეთ დღეში ვართ-მეთქი. მიპასუხა, ეს ჩემი პრობლემა არ არისო. მერე გაიკვირვა, რამდენი ჩამოსულხართ, 19 კაცი რა ამბავიაო. კრასნოიარსკში დავურეკე კავშირის პრეზიდენტ იური ნიკოლაევს. ჩამოვალ და ყველაფერს გამოვასწორებო, დამპირდა. ახლა როგორმე მოვახერხებთ თამაშს, მერე კი რუსებს მკაცრად მოვთხოვ პასუხს.

**— ნაკრების სამი წევრი კვლავ უვიზოდაა...**

— რა გაეწყობა. 19 მორაგბით მოგვიწევს ბრძოლა. ისიც ვუთხარი ნიკოლაევს: ოქმში 19 გვარი რომ ჩაიწერება, თქვენი სირცხვილია-მეთქი. ყურიც არ შეიბერტყა. აქედან ველაპარაკე თბილისში რუსეთის კონსულ ლებედევს. ვთხოვე, იქნებ დაეჩქარებინა ბიჭებისთვის ვიზების გაცემა. იცით, რა მითხრა? საერთოდ გადავიფიქრე მათთვის ვიზების მიცემაო. ერთი იმედილა დაგვრჩა: სასწრაფოდ უნდა დავითანხმოთ მარსელში რუსეთის კონსული, რათა მან დროულად მისცეს ჯაველიძეს კრასნოდარში წამოსვლის უფლება. თუმც ამის შანსიც ძალიან მცირეა. საერთოდ, როგორც რუსები და რუსეთში გვეპყრობიან, ეს არა მარტო მორაგბეების, არამედ მთელი საქართველოს შეურაცხყოფაა. ამას ასე არ დავტოვებ. რუსებს არაფერს შევარჩენ, რაგბის საერთაშორისო საბჭოში ვუჩივლებ.

**ბაჩო სვანიძე**

# გათავდა: გატარდა!

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ დღეიდან კანონთან პირნათელია. გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ექვსი წლის მანძილზე „ჰაერში გამოკიდებულ“ „დინამოს“ არსებობის უფლება იურიდიულად დაუმტკიცა — რეგისტრაციაში გაატარა. ერთ დროს ევროპაშიც სახელოვან კლუბს და დამოუკიდებელი საქართველოს ათგზის ჩემპიონს ერთი, ძველი პატრონი — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო მიხედავს.

გუშინვე კლუბის პრეზიდენტობა დაეკისრა ჯერ კიდევ დინამოელთა მწვრთნელს რევაზ არველაძეს, რომელიც ერთ კვირაში იმ მწვრთნელის ვინაობასაც გააცხადებს, „დინამოს“ საჭესთან რომ დადგება.

იხილეთ მეორე გვერდი

## შოკოლადის გარანტია

მერაბ რატიანი: კალაძის ტრანსფერზე ჟორდანიამ ილაპარაკოს

## მეინ როუდი ვაკეში

შელია-ცხადაძე: სიტი-სიტუაცია

## ნეტავი თქვენ!!!

კრაკოველები უშუქობამ, უკაცრავად, უქულობამ ქუჩაში გაიყვანა

## დავით ხახალეიშვილის აუწონავი ტკივილი

30 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს საქართველოდან გადახვეწა სურს

# კალაძე ორ დღეში მორჩა



საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „მილანის“ მცველი კახა კალაძე, რომელიც წინა კვირას „იუვენტუსის“ წინააღმდეგ მატჩში, უფრო სწორად, ზინედინ ზიდანთან ორთაბრძოლისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, უკვე გამოჯანმრთელდა და სავსებით შესაძლოა, კვირას „სან სიროზე“ „პარმასთან“ ითამაშოს.

როგორც ჩვენმა მილანელმა კოლეგებმა გვაცნობეს, კალაძე ორ დღეს ისვენებდა და ვარჯიში გუშინ განაახლა. კახას კოჭთან მყესი ჰქონდა დაჭიმული და ექიმებმა ტრავმა ორიოდ დღეში მოუშუშეს.

ერთი სიტყვით, ჩვენდა გასახარად უარესის ვარაუდი არ გამართლდა. აკი ამბობდნენ, შეიძლება კალაძემ რამდენიმე კვირა დაისვენოსო, ტრავმა კი არც ისე სერიოზული ყოფილა. „მილანის“ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისაც უთქვამს, „პარმასთან“ მატჩში კალაძის იმედიც მაქვსო.

**ძოზა ინასარიძე**

# გათავდა: გატარდა!
## დინამო მეორედ დაიბადა


რევაზ არველაძე

*გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ თბილისის „დინამო" რეგისტრაციაში გაატარა. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ გუნდი იურიდიული ნორმების დაცვით გააგრძელებს არსებობას. შპს საფეხბურთო კლუბ „დინამოს" დამფუძნებელი მხოლოდ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოა.*

*ოფიციალურად გაფორმდა რევაზ არველაძის პრეზიდენტობაც. მოგეხსენებათ, მეთორმეტე ეროვნულისთვის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი და ფაქტობრივი პრეზიდენტი სწორედ ის გახლდათ. 31 წლის რევაზ არველაძე ახლა უკვე ლეგიტიმურად უხელმძღვანელებს გუნდს.*

**— რას ნიშნავს თქვენთვის თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობა?**

— მოხარული ვარ, რომ არჩევანი ჩემზე შეჩერდა და ასეთი დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ამ დიდი ტვირთის არ მეშინია და საქმესაც არ გავურბივარ. ბედნიერი ვიქნები, თუ თბილისის „დინამოს" ჩემს ხელს დავატყობ.

პრეზიდენტი ვარ, მაგრამ ალბათ უკვე იცით, რომ კლუბის მფლობელი „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოა. ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, შსს-ს მიერ ბიუჯეტში შესატანი თანხის ნაწილი გარკვეული ვადით „დინამოს" მოხმარდება — ასეთია კლუბის ფინანსური მხარდაჭერა.

**— „დინამოს" მთავარი მწვრთნელის ვინაობა როდის გაცხადდება?**

— მომავალ კვირას.

**— გამორიცხულია, რომ ის რევაზ არველაძე იყოს?**

— ალბათ უფრო ასე იქნება — „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება, თუმც გამორიცხული არაფერია.

**— პრეზიდენტობისა და მწვრთნელობის შეთავსებას ალბათ ფრთხილად ეკიდებით.**

— სიფრთხილე არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ კლუბში ახლა ძალიან ბევრი საკითხი მოსაგვარებელია — ძნელია ერთი კაცი ყველაფერ ამას გუნდის გაწვრთნასთან ერთად შეეჭიდოს. აი, ყველაფერი მოწესრიგებული რომ იყოს, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ თუ ვითარება მოითხოვს, არც ამაზე დავიხევ უკან.

**— ფოთის „კოლხეთთან" თამაშის წინ ოთხმა ფეხბურთელმა უარი თქვა ფოთში გამგზავრებაზე — შემადგენლობის მხრივ გუნდს ნამდვილად არ ულხინს...**

— ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, როცა მათ გამგზავრებამდე ნახევარი საათით ადრე შემატყობინეს თავიანთი გადაწყვეტილება. როგორც უკვე იცით, სამი მათგანი ახლა სხვა გუნდშია, ხოლო ზაზა ზირაქიშვილი კვლავ „დინამოში" ითამაშებს.

ისე კი გუნდის გაძლიერება მართლაც გვმართებს და ამაზე აუცილებლად ვიმუშავებთ. ვინც ახლა „დინამოშია", მათაც უნდა მოუმატონ თამაშს.

ფეხბურთელთა დავალიანების გასტუმრებას რეგისტრაციის შემდეგ წინ აღარაფერი უდგას. დინამოელებს საკმაოდ კარგი მოტივაცია ექნებათ.

**— „დინამო" კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს?**

— გუნდიდან ფეხბურთელების წასვლა, დავალიანების დაგვიანებით გასტუმრება, რეგისტრაციის დაგვიანება — ერთობ ხელისშემშლელი ფაქტორებია. ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ გპირდებით, რომ მხოლოდ პირველობისათვის ვიბრძოლებთ.

თუ „დინამოს" აღორძინება და ძველი დიდების დაბრუნება გვინდა, ყველამ — ფეხბურთელებმა და კლუბის ნებისმიერმა წარმომადგენელმა ამისთვის მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

დაბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც „დინამო" აქამდე მოიყვანა და შეინარჩუნა.

დღეს კი „დინამო" ქვეყნის პრეზიდენტის და აგრეთვე შსს მინისტრის ძალისხმევით არსებობს.

**დავით თაგართქილაძე**

# ბოლონია რეხვიაშვილს: ჯერ საქმე, მერე სიტყვა


ალექსანდრე რეხვიაშვილი

**ახალი** ამბავი არ არის, რომ სერია A-ს „ბოლონია" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ და რიგის „სკონტოს" კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილს აკვირდება. უკვე კარგა ხანია, ლატვიის ჩემპიონი გუნდიდან ჩვენებურის „ბოლონიაში" შესაძლო ტრანსფერზე ლაპარაკობენ.

იტალიური კლუბის წარმომადგენლები თბილისში, 14 თებერვალს საქართველო — უკრაინის ამხანაგურ მატჩზე საგანგებოდ ალეკო რეხვიაშვილის საქმეში სანახავად აპირებდნენ ჩამოსვლას, მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც გადაიფიქრეს და თქვეს, კიოლნში, 27 თებერვალს „კიოლნ" — საქართველოს ნაკრების ამხანაგურ შეხვედრას ნაღდად დავესწრებითო.

„ბოლონიამ" თქვა და გააკეთა. 27 მარტს კიოლნის „მიუნგერსდორფერშტადიონზე" იტალიური კლუბის მთავარი სკაუტიც მოკალათებულიყო და რეხვიაშვილის თამაშს დიდი ინტერესით უცქერდა.

— ვიცი, რომ ამ მატჩს „ბოლონიას" წარმომადგენელი დაესწრო. შევნიშნე კიდეც, თუმცა თვითონ არ გამომლაპარაკებია და მეც თავი შევიკავე — გვითხრა ალეკო რეხვიაშვილმა გუშინ, როცა რიგაში დავუკავშირდით — ისიც ვიცი, რომ ჩემი „ბოლონიაში" გადასვლა-არგადასვლა საბოლოოდ 29 მარტს, საქართველო-რუმინეთის მატჩის მეორე დღეს გადაწყდება. „ბოლონიამ" ბოლო სიტყვა სწორედ მაშინ უნდა თქვას. ჩემს ტრანსფერთან დაკავშირებულ ყველა კითხვასაც პასუხი დაახლოებით ერთ თვეში გაეცემა. ისე კი მითხრეს, ყველაფერი კარგადაა და „ბოლონია" შენი თამაშით კმაყოფილიაო. იტალიელები ფეხბურთელს კარგა ხანს აკვირდებიან და როცა დარწმუნდებიან, რომ გამოადგებათ, მერეღა ყიდულობენ. „ბოლონიაც" ასე აკეთებს.

ერთი სიტყვით, 28 მარტამდე ბევრიც არაფერი დარჩა და ვინძლო, მომავალი სეზონიდან სერია A-ში ერთმა ქართველმაც ითამაშოს, თუ რაღა თქმა უნდა, „ბოლონია" იქამდე არ დაქვეითდა.

კიოლნში კი, ესეც ალეკო რეხვიაშვილმა გვითხრა, სხვა კლუბების წარმომადგენლებიც დასწრებიან ჩვენებურთა თამაშს, თუმც კონკრეტული არაფერი თქმულა.

**კობა ინასარიძე**


მერაბ რატიანი

*თვენახევარზე მეტია, კახა კალაძის სატრანსფერო კონტრაქტთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. ეკუთვნის თუ არა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის სანაცვლოდ კიეველთაგან სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ჯერაც არ გაცემულა. გარდა ამისა, ერთობ უჩვეულოდ ვითარდება მოვლენები თავად თბილისის „დინამოს" ირგვლივაც. გუნდი პოლიციამ ჩაიბარა, მეპატრონე გამოუჩნდა, წესით და რიგით, რეგისტრაციის საკითხიც საპრობლემო არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია — ჩემპიონატი განახლდა, კლუბის ახალი მეპატრონის ლეგიტიმურობა კი მხოლოდ გუშინ გაფორმდა. კახა კალაძის კონტრაქტსა და „დინამოს" ამბებზე საუბრისას არაერთხელ ამოტივტივდა **მერაბ რატიანის** სახელი.*

# შოკოლადის გარანტია

„აგრომრეწვბანკის" მესვეურთა თქმით, რატიანმა ჟორდანიასა და შოთაძესთან ერთად მიიტანა ბანკში „50-პროცენტიანი" კონტრაქტი 50 ათასი ლარის კრედიტის მისაღებად. იმავე ბანკში საკრედიტო ხელშეკრულებას ამ სესხის თაობაზე რატიანისვე ხელმოწერა ამშვენებს. რატიანისკენ და შოთაძესკენ მიგვანიშნა მერაბ ჟორდანიამ ამასწინანდელ ინტერვიუშიც. „მე საერთოდ არ მქონია „აგრომრეწვბანკთან" ურთიერთობა და ეს იმათ ჰკითხეთ, ვინაც ეს კონტრაქტი მიიტანა იმ ბანკში.

— ანუ რატიანსა და შოთაძეს?

— დიახ!"

მაშინ სფფ-ის პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ „დინამოს" ძველი დამფუძნებლები მოვლენების ამგვარ განვითარებას არ შეეგუებოდნენ და შსს-ის წინააღმდეგ სარჩელს აღძრავდნენ.

ძველი დამფუძნებლებიდან კი ერთ-ერთი სწორედ მერაბ რატიანი გახლავთ. ამიტომ, ცხადია, გვაინტერესებდა, თუ რას ფიქრობდა რატიანი. სამწუხაროდ, მასთან დაკავშირება აქამდე ვერ შევძელით. ორიოდე დღის წინათაც შემთხვევით შევხვდით სფფ-ში მისული მერაბ ჟორდანიასთან მიიჩქაროდა. მასთან სახელდახელო ინტერვიუმაც ხუთიოდე წუთს გასტანა...

**— მართლა უნდა იჩივლოთ?**

— არსებული ვითარებით გაოგნებული ვარ... ჯერაც ბევრი რამაა გასარკვევი. ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— „დინამოს" ახალ მეპატრონესთან ბოლო დროს კავშირი თუ გქონდათ?**

— მათგან შეხმიანებას ველი, მაგრამ ჩემთვის დღემდე არავის მოუმართავს, მხოლოდ რეზო არველაძესთან მაქვს ურთიერთობა.

**— და მაინც რას აპირებთ?**

— ხომ გითხარით, გაოგნებული და გაკვირვებული ვარ... არაფერია გამორიცხული.

**— კალაძის „50-პროცენტიანი" კონტრაქტი „აგრომრეწვბანკში" როგორ აღმოჩნდა?**

— მე არაფერი ვიცი. თურმე ამბობენ, რომ რატიანმა მიიტანა ეს კონტრაქტი იქ...

**— ბანკში თქვეს, კონტრაქტი ჟორდანიამ, რატიანმა და შოთაძემ წარადგინესო.**

— ტყუილია. ამ მხრივ იმ ბანკთან ურთიერთობა არ მქონია...

**— 50 000 ლარზე საკრედიტო ხელშეკრულება თქვენს მიერაა ხელმოწერილი. მაშინ რის საფუძველზე გაიცა თანხა?**

— „აგრომრეწვბანკთან" ხელშეკრულება მართლაც გავაფორმე, მაგრამ რა შუაშია კალაძის კონტრაქტი? 50 000 ლარის საგარანტიოდ ბანკში შოკოლადის ფაბრიკის დაზგა-დანადგარები ჩავდეთ. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ ჩემი ნათქვამი.

**— თბილისისა და კიევის „დინამოს" შორის გაფორმებული კონტრაქტი კალაძესთან დაკავშირებით თუ გინახავთ?**

— არა, დეტალები ჩემთვის არ არის ცნობილი, მაშინ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო.

**ბაატა ქვანტალიანი**

# შელია-ცხადაძე: სიტი-სიტუაცია


მურთაზ შელია

...„დინამო", ვლადიკავკაზის „ალანია", „მანჩესტერ სიტი", მერე ისევ „დინამო", ისევ „ალანია" და... საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი მურთაზ შელია უკვე მეორედ უბრუნდება ეროვნულ ჩემპიონატს.

„შელია მალე შემოგვიერთდება" — თქვა გუშინწინდელი „ლოკომოტივი" — „ბათუმის" შემდეგ რკინიგზელთა თავკაცმა გივი ნოდიამ. არადა, „ალანიადან" წამოსულს „დინამოში" უფრო ელოდნენ.

— უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ხვალ „დინამოში" გათავისუფლების ფურცელს ავიღებ და ლოკომოტიველი გავხდები. კვირას „ვიტ ჯორჯიასთან" თუ ვერა, მომდევნო ტურში „კოლხეთის" წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ.

**— და ისევ აღდგება ნაცნობი დუეტი ცხადაძე-შელია...**

— მე და კახას ერთად გვითამაშია ნაკრებში და მერე „სიტიშიც". მას შემდეგ, რაც მანჩესტერში ტრავმა მივიღე, წელიწადნახევარი გავიდა. იმედია, ცხადაძესთან ერთად ძველებურად საიმედო ტანდემი ვიქნებით.

**— „ლოკომოტივში" ძველ ნაცნობთან, გივი ნოდიასთან მოგიწევს ურთიერთობა...**

— ჰოდა, ძალიან კარგი. მწვრთნელს ჯერაც სჯერა ჩემი და თუ მე ქართულ ფეხბურთში ისევ დავბრუნდი, გივი ნოდიას დამსახურება იქნება.

**— ბოლოს მურთაზ შელია საკმაოდ მოსუქებული და ფორმადაკარგული გვახსოვს...**

— ზედმეტი წონის პრობლემა აღარ არსებობს. სულ მალე ჩვეულ ფორმასაც დავიბრუნებ და მჯერა, „ლოკომოტივსაც" გამოვადგები.

**— ბევრი უკვე აღანიელად გთვლიდა, მაგრამ მოულოდნელად საქართველოში დაბრუნდი. რაზე გაგინაწყენდა ავერიანოვი?**

— მის ნამუსზე იყოს. შეკრებაზე ჩემი ფეხის წაცდენას ელოდა. უკმაყოფილების საბაბი არ მიმიცია. მერე კუნთი დამეჭიმა და ეს მიზეზად გამოიყენა.

**— ესე იგი, ლოკომოტიველი ხარ.**

— ასეა. დღეიდან რკინიგზელი ვარ. მერე ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. მთავარია, ქართულ ფეხბურთში ვბრუნდები.

**გაფუჩა ქვანტალიანი**

## გერმანია

II ბუნდესლიგა

გადადებული მატჩი

**ზანქტ პაული — როიტლინგენი**

— რატი (38)


**იყიდება**

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სოლიაოსთან"



„ვიტ ჯორჯია“ — „გორდა“. ვიტელებს ახალწვეულ ალეკო გოგობერიშვილის ეიმედებათ

# ჯერ ოჯახური იყოს

## შინაურულად გაიხსნა, შინაურულად დაიწყო

**საქართველოში** ფეხბურთი დაბრუნდა. დაბრუნდა ისეთი, როგორიც არის. არც უკეთესი, არც უარესი. პირველი საგაზაფხულო ტურის ხუთ მატჩში მხოლოდ ორი გოლი გავიდა. ძალიან მჭლე მონაგარია ათი გუნდისთვის, მაგრამ ნუ შემოვწყრებით, ერთი იმიტომ, რომ ახლა დაიწყეს და ჯერ არ გახურებულან. მეორეც, ხუთი ამდენი რომ გასულიყო, ვითომ საქმეს ამით ეშველებოდა?

სამმა მწვრთნელმა ახალი გუნდი პირველად გაიყვანა მინდორზე: გივი ნოდიამ „ლოკომოტივი“, გია გეგუჩაძემ „გორდა“ და ნოდარ აკობიამ „იბერია“. მეოთხის, მერანელი ოთარ გაბელიას დებიუტი ქუთაისის ტორპედოელთა სანაკრებო მოუცლელობის გამო გადაიდო და ამ კვირას ბოლნისში შედგება.

კიდევ: ათი წლის შემდეგ საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახა ცხადაძემ კვლავ ითამაშა ეროვნულ ჩემპიონატში...

მთავარი ამბავი, ალბათ, მაინც ვაკეში მოხდა. იქ, ჯერ ისევ მშენებარე სტადიონზე პირველი თამაში ჩატარდა, ასე ვთქვათ, არაოფიციალური გახსნა მოეწყო. ჩემპიონატის ლიდერმა „ლოკომოტივმა“ „ბათუმს“ უმასპინძლა და აქვსენტი გილაურის გოლით 1:0 მოუგო. გივი ნოდიას დებიუტი წარმატებული გამოდგა. არადა, არ არის ადვილი, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი შუა სეზონში ჩაიბარო, მითუმეტეს მაშინ, როცა იქიდან ფეხბურთელების უმეტესობა მიდის. მიზანი იგივე რჩება, გუნდი კი თავიდანაა შესაქმნელი.

ნოდიამ, ისევე როგორც რვა წლის წინ თბილისის „დინამოში“, ახლაც რევაზ ძოძუაშვილი შეცვალა. თუმცა მაშინ ვითარება სხვაგვარი იყო. „დინამოში“ ჩინებული ფეხბურთელები თამაშობდნენ და ზაფხულში „ლინფილდთან“ ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩის წინ მხოლოდ ორნი, ნემსაძე და ლობჟანიძე დაემატნენ. ახლა კი ნოდიას ლამის მთელი გუნდის თავიდან აწყობა უწევს.

სახელიანი და ნიჭიერი მოთამაშეები რკინიგზელებს არც დღეს აკლიათ: ცხადაძე, გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე, ჭიჭვეიშვილი, კაიდარაშვილი სერიოზული ძალაა.

კვიპროსში გავლილ მოსამზადებელ პერიოდს „ლოკომოტივისთვის“ უკვალოდ არ ჩაუვლია, თუმცა შესათამაშებლად და დასახვეწად ჯერ კიდევ დროა საჭირო. აკი გვითხრა კიდეც ნოდიამ, პირველ თამაშს ყოველთვის თავისებური ნერვიულობა ახლავს, ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ, მაინც კმაყოფილი ვარ. „ლოკომოტივს“ დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენსას კიდევ დავამტკიცებთო.

საგულისხმო იყო ნოდიას თამამი სათამაშო გეგმაც. სამი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი. განსაკუთრებით ორი განაპირა ჰავბეკის გილაურისა (მარცხნივ) და ბალაშვილის (მარჯვნივ) მოქმედება გახლდათ საინტერესო. აბა, რამდენი გინახავთ ეროვნულ ჩემპიონატში ისეთი ფეხბურთელი, მთელ ფრთას რომ აკონტროლებდეს? ცხადია, დროდადრო მათ გოგიჩაიშვილი და კაიდარაშვილიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ამ ორმა დიდი სამუშაო გასწია, ისევე, როგორც შეცვლაზე შესულმა რუსიამ და, ვგონებთ, მწვრთნელის დავალება კარგად შეასრულეს.

მეორე საინტერესო მატჩი ფოთში გველოდა, სადაც სისხლისგან დაცლილი თბილისის „დინამო“ ერთობ უხერხულ მოწინააღმდეგეს უნდა შებმოდა. „დინამო“, რომელსაც არც ხეირიანი შეკრება გაუვლია (სულ ექვსი საკონტროლო მატჩი ჩაატარა) და ათზე მეტი ძირითადის ფეხბურთელი მოაკლდა, ფოთელებს მედგრად დაუდგა და არ წააგო. არადა, ჯერ არც მომავალი მთავარი მწვრთნელის ამბავი გაურკვევიათ და ამბობენ, შეიძლება ვილაც-ვილაცეები გუნდიდან კიდევ წავიდნენო...

აი, ბოლნისის „სიონმა“ კი ექვსეულისთვის მებრძოლნი ჩაიფიქრა. სპარტაკ არჩვაძის ერთობ მოლონიერებულმა „სიონმა“ გორში „დილას“ ბესიკ შენგელიას გოლით მოუგო. გაბისონია, სიდამონიძე, დავითაშვილი და კახა გოგოლაძე, აი, ის მთავარი ძალა, რომელიც ამ ზამთარს ბოლნისელებს დაემატა. დაგვეთანხმებით, ქართული ლიგისთვის სერიოზული ფაქტორია. მოკლედ, უფრთხილდით „სიონს“.

კვირას კი მეცხრამეტე ტური დაიწყება და საქმეში ქვეყნის ჩემპიონი „ტორპედოც“ ჩაებმება.

**სოლომონ გულისაშვილი**



ათი წლის მერე კახა ცხადაძე მუხლს ეროვნულ ჩემპიონატში გამართავს

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე წრე

## 18 ტური

### სტატისტიკა

| | |
|---|---|
| მატჩი | 5 |
| გოლი | 2 |
| მასპინძელთა მოგება | 1 |
| ფრეები | 3 |
| სტუმართა მოგება | 1 |
| საერთო დასწრება | 7 500 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 500 |
| საუკეთესო დასწრება (დილა — სიონი) | 3 000 |
| მწირი დასწრება (იბერია — თსუ, ვიტ ჯორჯია — გორდა) | 500 |

**ლოკომოტივი 1:0 ბათუმი**

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაჯარიმდა | 8 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 0 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

**კოლხეთი 0:0 დინამო**

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 28 |
| 4 | კუთხური | 0 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 0 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

**ვიტ ჯორჯია 0:0 გორდა**

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 29 |
| 4 | კუთხური | 0 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

**დილა 0:1 სიონი**

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 19 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 6 |

**იბერია 0:0 თსუ**

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 14 |
| 2 | კუთხური | 7 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 4 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

**მერანი — ტორპედო**

ეროვნულ ნაკრებში ტორპედოელთა გამოძახების გამო მატჩი გადაიდო.

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | ზირაქიშვილი | დინამო |
| 9 | დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | გადელია | დინამო |
| 7 | გ. გ. მიქაძე | დინამო |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | ა. მუჯირი | ბათუმი |
| 6 | ბ. შენგელია | ლოკომოტივი |
| | აფხაზავა | ბათუმი |
| | მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | ფუფუნაშვა | ვიტ ჯორჯია |

### სიმბოლური ნაკრები

მამუკა რუსია — ლოკომოტივი
სულიკო დავითაშვილი — სიონი
აქვსენტი გილაური — ლოკომოტივი
ზვიად გვაზავა — თსუ
გიორგი ანჩაბაძე — ლოკომოტივი
ბესიკ შენგელია — სიონი
დავით გვრიძე — გორდა
კახა სიდამონიძე — სიონი
კახა ცხადაძე — ლოკომოტივი
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
სოსო გრიშიკაშვილი — დინამო

გუნდი: სიონი
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

### უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 18 | 15 | 1 | 2 | 33:7 | 26 | 46 | 9 | 8 | 0 | 1 | 20:3 | 17 | 24 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 18 | 12 | 2 | 4 | 43:17 | 26 | 38 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:10 | 5 | 17 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26:12 | 14 | 33 | 9 | 6 | 1 | 2 | 11:2 | 9 | 19 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 19:14 | 5 | 28 | 9 | 5 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 18 | 6 | 3 | 9 | 22:25 | -3 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:13 | -8 | 5 |
| 8 სიონი | 18 | 5 | 4 | 9 | 13:27 | -14 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 9 | 3 | 1 | 5 | 5:15 | -10 | 10 |
| 9 გორდა | 18 | 3 | 8 | 7 | 13:22 | -9 | 17 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 9 | 0 | 4 | 5 | 2:15 | -13 | 4 |
| 10 თსუ | 18 | 4 | 3 | 11 | 17:32 | -15 | 15 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 8 |
| 11 დილა | 18 | 4 | 3 | 11 | 13:33 | -20 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 12 იბერია | 18 | 0 | 3 | 15 | 3:35 | -32 | 3 | 9 | 0 | 2 | 7 | 1:17 | -16 | 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:16 | -16 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

### ჩვენი მეტოქეები

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

#### იტალია 1:2 არგენტინა

1:0 ფიორე (26), 1:1 კილი გონსალესი (36), 1:2 კრესპო (49)
იტალია: ბუფონი, კანავარო, პიერინი, მალდინი (ბერტოტო 53), პესოტო (კოკო 70), ტაკინარდი, ტომაზი (დი ბიაჯო 76), კ. ძენონი, ფიორე (ტოტი 53), ვიერი (დელვეკიო 71), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
არგენტინა: ბურგოსი, სამუელი, აიალა (პოჩეტინიო 81), ვივასი, სორინი, ძანეტი, სიმეონე, ვერონი (ხუსაინი 74), აიმარი (გალიარდო 81), კილი გონსალესი (გუსტავო ლოპესი 70), კრესპო (ხულიო კრუზი 90)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი



არგენტინელმა პაბლო აიმარმა (№10) განთქმული იტალიური დაცვა აიყოლა

**ჯოვანი** ტრაპატონი მინდვრის კიდესთან თითქოს მშვიდად იდგა. არა, თავისიანების უნიათო თამაშს, აბა, როგორ არ განიცდიდა, მაგრამ ნაცნობი, აფორიაქებული მოძრაობები და გაფართოებული თვალები არ ჰქონია.

ამხანაგური თამაში თავისას მოითხოვს, მაგრამ იტალია-არგენტინა ხომ ჩვეულ ფარგლებს სცდება. ყასიდად კი არ ამბობდა ერნან კრესპო: არა მგონია, ეს მხოლოდ ამხანაგური შეყრა იყოსო.

ასეთი უსუსური იტალია და პირიქით, ფრთაშესხმული არგენტინა იშვიათად თუ გვინახავს. რომის ნახევრად ცარიელ სტადიონზე, წვიმასა და ქარში, ოკეანისგაღმელებმა „ცისფერებს" რაღაც საშინელება მოუწყვეს, ბურთი ხომ „დაუმალეს" და მთლად საქვეყნოდ რომ არ შეარცხვინეს, მასპინძლები მადლობლები უნდა იყვნენ.

არგენტინელებს არცთუ ბევრი, მაგრამ ჯიგრიანი ქომაგები ჰყავდათ. „ოლე, ოლე!" წამოიწყებდნენ გახურებულნი და ფეხბურთელებიც ცეცხლს ანთებდნენ. თუმცა...

თავიდან იტალიელები სჯობდნენ. დასაწყისშივე ინძაგის ორი კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა. გოლი კი არგენტინელთა შეცდომებს მოჰყვა — ვერონმა ბურთი ვიერის ჩააბარა, ამან მყის მოძებნა ფიორე, რომელიც მცველებს შორის გაძვრა და მეკარე ბურგოსს ფეხებში გაუძვრინა.

ეს იყო და ეს. მერე სტუმრებმა ისეთი ცირუტი დაატრიალეს... კრესპოს რამდენჯერმე უნდა გაეტანა, მაგრამ თვითონ რომ არაფერი გამოუვიდა, თანაგუნდელი აზეირა, 36-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და კილი გონსალესს დაუგორა, „ვალენსიას" ფორვარდიც არ დაიბნა და გაათანაბრა. თუმცა, სტუმართა მოძალება ამით არ დამთავრებულა, სორინმა ძელს გაარტყა, ხოლო კილის მორიგი „ჩახუჭუჭებული" მალდინიმ კარის ხაზიდან თავით გამოიტანა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. სამხრეთამერიკელები კვლავაც გაფთრებით უტევდნენ. შეუდარებელი იყო ყმაწვილი პაბლო აიმარი, ერთი-ორჯერ ნაქები „კატენაჩოს" შვილებს ისეთი დამართა, ლეგენდარული ელინიო ერერა სირცხვილისგან გაწითლდებოდა.

წერტილი კრესპომ დასვა, კილი გონსალესის გადაცემა ოსტატურად დაამუშავა და მეორე გაიტანა. თუმცა, წერტილი აქ ცოტა უხერხული სიტყვაა, რადგან არგენტინელებს ეპყრათ მოედნის ცენტრი და თავისებურად ხლართავდნენ ნებისმიერ ეპიზოდს. კრესპოს სულაც ჰეთ თრიქი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ხან იღბალი და ხანაც მსაჯი ეწინააღმდეგებოდნენ. ბოლო წუთებზე „ლაციოს" თავდამსხმელმა „სუფთად" გაუტანა ბუფონს, მაგრამ ფრანგ არბიტრს, რატომღაც ხელით თამაში მოეჩვენა.

„გაუბედავად დავიწყეთ, მაგრამ მალე დავწყნარდით, ბურთიც დავიჭირეთ და უამრავი საგოლე მომენტიც შევქმენით. უფრო მეტად რომ გაგვმართლებოდა, დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით" — თქვა მატჩის შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ.

იტალიელებმა ერთობ უფერულად ითამაშეს, ვერც მაღალ ტემპს აჰყვნენ, ვერც ნახევარდაცვიდან თავდასხმაში გადავიდნენ ხეირიანად და ვერც ფორვარდებმა გაამართლეს.

საინტერესოა, რომ ამ ნაკრებთა შეხვედრების ისტორიაში, რომელიც სათავეს 1954 წლიდან იღებს, არგენტინამ სტუმრად პირველად მოუგო იტალიას, ცხადია, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში პენალტებით გამარჯვებას არ ვგულისხმობთ.

**სოლომონ გულისაშვილი**

#### ბოსნია 1:1 უნგრეთი

0:1 ჰორვატი (13), 1:1 ბარბარესი (22)
ბოსნია: გუსო (მუიჩინოვიჩი 46), მუსინი, ალემი (მიშკოვიჩი 46; მედვედი 82), ჰუჯუროვიჩი, ბაჯიჩი, რიზვიჩი, აკპაროვიჩი, მუიჩინი (მუჰარემოვიჩი 66), ბარბარესი (იოლდიჩი 83), ჰოტა (დურო 75), ტოპიჩი (ბრკიჩი 61)
უნგრეთი: ბაბოში, კორსოში, იუჰარი, შებოკი, ჰალმაი, ფეჰერი (დომბი 72), მირიუტა, ჰორვატი, ტოტი, ბოდნარი, ჰამარი (ლისტეში 66)
მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი
მსაჯი: საშო ლაზარევსკი (მაკედონია)
9 000 მაყურებელი

**თელ ავივის** „მაკაბის" თავდამსხმელი, უნგრელი ფერენც ჰორვატი მასპინძელთა მეკარე ადნან გუსოსა და მცველ ფარუქ ჰუჯუროვიჩს შუაში გაუძვრა და ისე გაიტანა.

ამ გოლიდან ცხრა წუთში მასპინძლებმაც იხეირეს. ჰამბურგელმა სერგი ბარბარესმა, რომელსაც ბუნდესლიგაში უკვე თხუთმეტი გოლი გაუტანია, ბურთი სტუმართა საჯარიმოს გარეთ მიიღო, შიგნით შეიჭრა და გაბორ ბაბოშის კარი დალაშქრა.

მატჩის დასრულებამდე უამრავი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საგოლე მომენტები კი იყო. მეორე ტაიმში იმავე ბარბარესმა ოდნავ ააცილა კარს საჯარიმოს კუთხიდან, ხოლო უნგრელმა მიკლოშ ფეჰერმა იგივე ათიოდე მეტრიდან მოახერხა.



ბოსნიელი მარკო ტოპიჩი (№11) და უნგრელი ტამაშ იუჰარი ბურთისთვის იბრძვიან

## კვიპროსის ოთხთა ტურნირი

### ფინალი

#### რუმინეთი 3:0 ლიტვა

1:0, 2:0 განეა (12, 40), 3:0 კოდრია (67)
რუმინეთი: სტელეა, კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ (მოლდოვანი 61), გალკა, რადოი, ჯოანე (კოდრეა 46), კოვუ (დ. მუნტეანუ 46), განეა, სტოიკა, მ. ნიკულაე (ჩობოტარიუ 61)
მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი
ლიტვა: ვ. ჟუტაუტასი (ლეუსი 75), გრაჟიუნასი, ჟვირგჟდაუსკასი (რაჟანაუსკასი 46), იოკშასი, გლევეცკასი, ვენცევიჩიუსი (დედურა 46), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, პოშკუსი, ფომენკა (დანილევიჩიუსი 38), იანკაუსკასი
მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩიუსი
მსაჯი: კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)
1 500 მაყურებელი

**ლიტვის** ნაკრების დამარცხებით რუმინეთმა კვიპროსის ოთხთა ტურნირი მოიგო. რუმინელთა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ მინდორზე რვა ისეთი ფეხბურთელი გაიყვანა, რომელთაც ნახევარფინალში უკრაინასთან არ უთამაშიათ.

დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ რუმინეთი ლიტვას პირველობას არ დაანებებდა და ეს აშკარა უპირატესობა მთელი 90 წუთის განმავლობაში შეინარჩუნა.

პირველი გოლი მე-12 წუთზე გავიდა და იონელ განიას საკმაოდ შორიდან დარტყმას მოჰყვა. მეორე ბურთიც განეამ შეაგდო. მირელ რადოი ლიტველებმა თავის საჯარიმოში წააქციეს და თუმცა მეკარე ვაიდას ჟუტაიტისმა პენალტი მოიგერია, განეას დამატებულს ვეღარაფერი მოუხერხა.

მესამე გოლი პოლ კოდრიამ გაიტანა და განეას პირველი გოლის მსგავსად, საკმაოდ შორიდან.



უგო ეჰიოგუს (№15) ამ თავურს ინგლისელთა მესამე გოლი მოჰყვა

#### ინგლისი 3:0 ესპანეთი

1:0 ბარმბი (38), 2:0 ჰესკი (56), 3:0 ეჰიოგუ (70)
ინგლისი: ჯეიმსი (მარტინი 46), ფ. ნევილი (გ. ნევილი 77), ს. კემპბელი, რ. ფერდინანდი (პოული 46), კ. პაუელი (ეჰიოგუ 46), ბარმბი, ბატი (ჰესკი 46), ბექემი (მაკკენი 46), სქოულზი (ლამპარდი 46), ენდი კოული, ოუენი
ესპანეთი: კასილიასი (კანისარესი 64), მანუელ პაბლო, ენრიკე გვარდიოლა (ბარახა 81), აბელარდო (მაკო ხემესი 46), ელგერა, უნაი, ლუის ენრიკე (სერხიო 64), მენდიეტა (ვიქტორ სანჩესი 64), რაული (ხ. ეჩებერია 81), ურსაისი (ხავი მორენო 46)
მსაჯი: კირიოს ვასარასი (საბერძნეთი)
42 129 მაყურებელი

**გვახსენდება,** რომ ბოლო კოპა ამერიკის წინ ბრაზილიელთა მწვრთნელმა ნაკრების ფეხბურთელებს ეროვნული ჰიმნის ტექსტის შესწავლა დაავალა, უამისოდ ფონს ვერ გავალთო. ეს მიზეზი იყო თუ სხვა რამ, ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა.

ესპანეთთან სადებიუტო მატჩის წინ სვენ გორან ერიკსონი კაბინეტში ჩაიკეტა და ბრიტანული ჰიმნი — „ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალს" დაიზეპირა. ვერც ამ შემთხვევაში ვიტყვით, ეს გახდა მიზეზი თუ არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ინგლისმა ესპანეთი შეარცხვინა. არადა, ისიც ვიცით, რომ ესპანეთი ამხანაგურ და შესარჩევი ეტაპის მატჩებში ძალიან იშვიათად მარცხდება.

მატჩის მსვლელობას მივყვეთ. თავდაპირველად ესპანელები უკეთ გამოიყურებოდნენ. ერიკსონმა მოგვიანებით თქვა, საწყისი ოცი წუთი გასახურებლად დაგვჭირდაო.

მერე გოლიც გავიდა. იგი თითქოს ალოგიკური იყო, რადგან სტუმრები უტევდნენ და მასპინძლებს საპასუხო იერიშისთვის არ ეცალათ. ენდი კოულმა მაიკლ ოუენს, რომელიც უკანდახეული თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობდა, პასი მისცა, ამან ლივერპული თანაგუნდელი ნიკ ბარმბი მოძებნა და მანაც იოლად მოატყუა იკერ კასილიასი.

შესვენების შემდეგ ინგლისელთა შვედმა თავკაცმა სრულად გამოიყენა შეცვლათა მარაგი — მინდორზე შვიდი ახალი ფეხბურთელი შეუშვა და მათაც არ გააწბილეს.

ემილ ჰესკიმ ბურთს გაჩერება არ აცალა, ისე დაარტყა და მეორე გაიტანა, ხოლო ვესტჰემელი ფრენკ ლამპარდის ჩაწოდებული კუთხური მიდლსბროელმა უგო ეჰიოგუმ თავურით მესამე გოლად აქცია.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ფრენკ ლამპარდი შვილია იმ ფრენკ ლამპარდისა, რომელიც ასევე „ვესტ ჰემში" თამაშობდა, როცა 1981 წელს თბილისის „დინამომ" დაამარცხა.

თავი ისახელა შეცვლაზე შესულმა მეკარე ნაიჯელ მარტინმაც, რომელმაც 79-ე წუთზე პრიმერადივიზიონის ბომბარდირ ხავი მორენოს პენალტი აუღო.

ამ გამარჯვებით ინგლისმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, რომელიც ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატიდან დაიწყო.

მატჩის შემდეგ ერიკსონმა თქვა, გამარჯვების იმედი, ცხადია, მქონდა, მაგრამ თუ ესპანეთისნაირ ძლიერ გუნდს ასე იოლად და ასეთი ანგარიშით გავუსწორდებოდით, ნამდვილად არ მეგონაო. მანვე დიდი მადლობა უთხრა ყველა ფეხბურთელს და ბირმინგემის „ვილა პარკზე" შეკრებილ მაყურებელს.

ინგლისს ახალი კაპიტანი ჰყავს — დევიდ ბექემი, რომელმაც მეორე ტაიმში სამკლავური სოლ კემპბელს გადაულოცა. „მატჩისწინა საღამოს ერიკსონმა მითხრა, შენს კაპიტნობაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და ბევრიც წინააღმდეგია, მაგრამ არ ინერვიულოო — განაცხადა მანჩესტერელმა — მეც დავპირდი, რასაც აქამდე ვაკეთებდი მინდორზე, იმაზე მეტს გავაკეთებ-მეთქი".

„ამ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ. სრულიად მშვიდად ვთამაშობდი და ჩემს შესაძლებლობებში წამითაც არ შემპარვია ეჭვი" — ეს ინგლისის ნაკრების ახალწვეულის, ჩარლტონელი კრის პაუელის სიტყვებია. ეს ფეხბურთელი ერთი მიზეზით ვახსენეთ — მისმი სანაკრებო დებიუტი 31 წლის ასაკში შედგა.

სანამ ინგლისი ჩინებულ გამარჯვებას ზეიმობს, ესპანური პრესა ხოსე ანტონიო კამაჩოს თავს ითხოვს.

„ესპანეთი წუმპეშია!" — აუწყებს „ელ პასი" მკითხველს. „თამაში არ იყო, გოლი არ იყო, სურვილი არ იყო, მოკლედ, არაფერი არ იყო" — ბობოქრობს „მარკა" და კითხულობს: „რატომ იგებენ ესპანური კლუბები მუდამ და რატომ აგებს ნაკრები ასევე მუდამ?"

და ისევ „მარკა": უკვე რა ხანია, ინგლისი ყველასთან აგებდა. ჩვენ კი მიწასთან გაგვასწორა. აი, რა შეძლო ახალმა მწვრთნელმა". ვფიქრობთ, გასაგებია, საითაც უმიზნებს პოპულარული სპორტული გაზეთი.

კამაჩოს კი სათქმელიც ბევრი არაფერი აქვს, ჩვენ ბურთს ვაგორებდით, ხოლო ინგლისელებმა ფეხბურთი ითამაშესო, ესღა თქვა.

**გიორგი დარჯანია**

# ამხანაგური მატჩები

## ჰოლანდია 0:0 თურქეთი

ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვესტერფელდი 46), რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური (ოიერი 46), ვან ბრონკჰორსტი, კოკუ (ზეედორფი 46), ვან ბომელი, დავიდსი, კლუივერტი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65), მაკაი, ოვერმარსი (სიკორა 65)
თურქეთი: ომერი, ტაიფური, უმითი, ფათიჰი, ალფაი, აბდულა (ჰაქან ბაირაქტარი 90), თუგაი (თოლგა 70), ტაიფუნი (ოქთაი 85), ჰაქან შუქური, სერგენი (ოგიუნი 46), ჰასან შაში (ნიჰათი 46)
მსაჯი: მიკო ვუორელა (ფინეთი)
30 000 მაყურებელი



თურქი აბდულა (№6) ფილიპ კოკუს წამოედო

**საკმაოდ** უსახური თამაში გამოდგა, არადა, მოგება ორივე გუნდს სჭირდებოდა — წინა მატჩებიც ასევე ჩაეტარებინათ და ახალა ქომაგთა გულების გახარება ეწადათ.

უფრო უსახური თურქები იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მასპინძელთა იერიშები რამდენადმე მწვავე იყო.

მართლაც კარგი მომენტი ჰოლანდიელებმა ტაიმის მიწურულს შექმნეს, 42-ე წუთზე, როცა პატრიკ კლუივერტის თავურს ფილიპ კოკუმ დაამატა და თურქმა მეკარე ომერმა ბურთი რის ვაივაგლახით გადააგდო ხარიხას ზემოთ.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული ვენეგოორ ოფ ჰესელინკის დარტყმული მცველმა უმით კარანმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. წამატებულ დროში ჰოლანდიელები მსაჯთან მიიჭრნენ და პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ — ვიქტორ სიკორა ფათიჰმა დასცა, მაგრამ არბიტრმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ჯარიმა საჯარიმოში კი არა, მის გარეთ იყოო. აი, სულ ეს იყო, რაც მატჩისთვის ძალიან ცოტაა.

მოგეხსენებათ, ტრიბუნაზე მჯდომი კაცი და მწვრთნელი თამაშს სხვადასხვა თვალით აკვირდებიან და მათი შეფასებები, შესაძლოა, განსხვავებული აღმოჩნდეს. ასე მოხდა ახლაც. ლუის ვან გაალი გულშემატკივართა პოზიციას არ დაეთანხმა და თქვა, ჩვენების თამაშით, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში, კმაყოფილი ვარო. მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი ხომ ვერ იქნებოდა? „საგოლე მომენტები არცთუ ბევრი გვქონდა და ისიც ვერ გამოვიყენეთ. ეს სამწუხაროა, თუმცა ყოველთვის ხომ ვერ გაიტან. მთავარია, რომ ბიჭებმა ჩემი დავალება შეასრულეს“.

არადა, შესაძლებელი იყო, თურქებს მოეგოთ. ბოლო ათი წუთი ისინი უკეთ ირჯებოდნენ და მეტოქის კარის სიახლოვეს მყოფმა ჰაქან შუქურმა აბდულასგან მიღებული ბურთი ოდნავ ააცილა ვესტერფელდის კარს.

კმაყოფილია თურქთა მწვრთნელი სენოლ გუნეშიც: „დაცვაში ხარვეზები, ფაქტობრივად, არ შეინიშნებოდა, არადა, წინა ამხანაგური მატჩი ფრანგებთან სწორედ მცველთა შეცდომების გამო წავაგეთ. მთავარი პრობლემა ნახევარდაცვაში გვაქვს, ბურთის შენარჩუნება გვიჭირდა, რაც საბოლოო ჯამში იერიშებს სიმწვავეს აკლებდა. მაგრამ ჰოლანდიასთან არ დავმარცხდით — ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს“.

ახლა ტრავმებზეც. თურქებს სამი ფეხბურთელი დაუშავდათ, მათ შორის რეინჯერსელი თუგაი ქერიმოღლუ საკმაოდ მძიმედ. მას ფეხი მოსტყდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს.



ფეხმოტეხილი თუგაი საავადმყოფოში გააქანეს

## სლოვენია 0:2 ურუგვაი

0:1 ოლივერა (20), 0:2 ზალაიეტა (86)
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, სნოფლი, ჟუზდალიჩი, ქნაჟსი, ნოვაკი (გაიზერი 80), ჩეჰი (პავლოვიჩი 71), შილიაკი (ციმეროტიჩი 46), ზაჰოვიჩი, პავლინი, რუდონია (ტავკარი 59), ძიმოვიჩი (ოსტერცი 76)
ურუგვაი: კარინი, მენდესი, სორონდო, მონტერო, პაბლო გარსია, როდრიგესი (ვარელა 88), გიგუ. ფლურკინი, დარიო სილვა (ზალაიეტა 59), რეკობა, ოლივერა
მსაჯი: ანტონ სტრედაკი (სლოვაკეთი)
4 200 მაყურებელი

## ხორვატია 1:0 ავსტრია

1:0 ვუგრინეცი (35)
ხორვატია: პლეტიკოშა, ტოვკოვიჩი, იარნი (ბისკანი 60), ცვიტანოვიჩი, ტუდორი, სიმიჩი, რ. კოვაჩი (სოლდო 46), პროსინეჩკი (სტანიჩი 46), შუკერი (ვლაოვიჩი 46), ვუგრინეცი (მორნარი 65), ბალაბანი (ბიელიცა 75)
ავსტრია: მანინგერი, ნოიკირხნერი (შოპველდი 80), ბაური, ჰიდენი, შოპი (პორტნაგლი 70), ფლოგელი, კირხლერი (ჩერნი 70), კუჰბაუერი (პრილასნიგი 60), ვასტიჩი (კოციანი 46), პერცოგი, მაირლები (ჰაასი 46)
მსაჯი: ლეიფ სუნდელი (შვედეთი)
2 000 მაყურებელი

## იორდანია 0:2 ბულგარეთი

0:1 ჩომაკოვი (43), 0:2 სტილიან პეტროვი (55)
იორდანია: სემი, არაფარი, მოჰანადი, ადნანი, ბელალი, ამადი, ჯანემი, ჯამალი (მუჰამედი 56), ოსამა, აშრაფი (რაფატი 56), ფეიზალი
ბულგარეთი: ზდრავკოვი (ივანკოვი 46), ბ. ივანოვი, მარკოვი, პაჟინი, კიშიშევი (პეევი 56), ჩომაკოვი, სტილიან პეტროვი, მ. ხრისტოვი (სვეტოსლავ პეტროვი 60), სტოილოვი (ტომაში 77), გ. ივანოვი (ბერბატოვი 46), მ. პეტროვი (ტოდოროვი 56)
მსაჯი: აბდულ ომარი (იორდანია)
2 000 მაყურებელი

## შვეიცარია 0:4 პოლონეთი

0:1 ოლისადებე (21), 0:2 კარვანი (45), 0:3 ჰაიტო (60პ), 0:4 კრჟინოვეკი (90)
შვეიცარია: პასკოლო, ზელვეგერი, ფურნიე, ეჩროსი (მაცარელი 54), ცვისიგი, მიულერი (როტა 70), კომიზეტი (კვენტინი 31), კანტალუპი (ა. ესპოზიტო 50), კონტინი (მ. იაკინი 50), სელესტინი, შაპუიზა
პოლონეთი: დუდეკი (მატიშეკი 46), კლოსი, ზიელინსკი (ზაიცი 70), მიხალ ჟევლაკოვი (კუკიელკა 46), კოზმინსკი, ჰაიტო, სვიერჩევსკი, კარვანი, ცდებელი (კრჟინოვეკი 46), კრიჟალოვიჩი (მარჩინ ჟევლაკოვი 46), ოლისადებე (კიელბოვიჩი 80)
მსაჯი: ტასოს პაპაიონუ (კვიპროსი)
500 მაყურებელი

## ლუქსემბურგი 0:1 ფინეთი

0:1 ფორსელი (80)
ლუქსემბურგი: ბესიჩი, ფეროხი, შულსი, ჰოსინგი, შტრასერი (ჰუსი 65), საიბენე, პეტერსი, ჰოლცი, ბრაუნი (დევილი 75), კარდონი, შნაიდერი (ზარიცკი 82)
ფინეთი: ენკელმანი, ჰასანელი, საარინენი, ჰიიპია (კუივასტო 47), ტიჰინენი, ვისი, ნურმელა (კუკი 64), გრონლუნდი (რიიჰილაჰტი 64), ფორსელი, იოჰანსონი, ჰელინი
მსაჯი: როლანდ ბეკი (ლიხტენშტაინი)
1 500 მაყურებელი

## ჩრდ. ირლანდია 0:4 ნორვეგია

0:1 ჰელსტადი (20), 0:2 კარეუ (30), 0:3 სტენსაასი (37), 0:4 ჰელსტადი (49)
ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, ა. ჰიუზი, კენედი (სტიუარტ ელიოტი 46), ტაგარტი (მ. უილიამსი 46), მერდოკი, მაკკარტნი (დ. ჯონსონი 61), მეჟილტონი, ლენონი (გრიფინი 46), ჰეილი (კირკი 69), გ. ფერგიუსონი (გრეი 69), ჯეფ უიტლი (სონერი 66)
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ლუნდეკვამი, ჰ. ბერგი (ეგენი 46), სტენსაასი, ლარსენი, ტესემი, ბაკე (აარშეიმი 78), ჰელსტადი (ანდერსენი 78), კარეუ (ფ. იონსენი 61), სოლსკიაერი (ბერე 78)
მსაჯი: კენი კლარკი (შოტლანდია)
7 502 მაყურებელი

## მალტა 0:3 შვედეთი

0:1 კორნელიუსონი (30), 0:2 ლარსონი (40), 0:3 მილდი (78)
მალტა: ბერი, კარაბოტი, ოკონკვო (ოკო 46), ტურნერი, დებონო, დიმეჩი, აგიუსი, გიგლიო, სუდა (ჰოლანდი 46), ბრინკატი (სალიბა 46), ნვოკო
შვედეთი: ჰედმანი, მელბერგი (მატოვაცი 46), ა. ანდერსონი, მიალბი, კორნელიუსონი, შ. შვარცი (ლინდეროტი 46), დ. ანდერსონი, ოსმანოვსკი, ლიუნგბერგი (მილდი 46), სვენსონი, ლარსონი
1 500 მაყურებელი

## მაკედონია 1:1 ჩეხეთი

1:0 გ. ხრისტოვი (34), 1:1 კუკა (43)

## ლიხტენშტაინი 0:2 ლატვია

0:1 მიხოლაპსი (63), 0:2 ვერპაკოვსკისი (66)

## კოლუმბია 3:2 ავსტრალია

1:0 სერნა (10), 2:0 სალასარი (66), 3:0 გრისალესი (74), 3:1 კორიკა (76პ), 3:2 ჩიპერფილდი (89)

## ირლანდია — დანია

გადაიდო

## საბერძნეთი 3:3 რუსეთი

1:0, 2:0 არისტიასი (2, 32), 2:1 ბუზნიკინი (34), 2:2 ხოხლოვი (52), 2:3 ბუზნიკინი (70), 3:3 ბასინასი (90პ)
საბერძნეთი: ელეფთეროპულოსი (კატერინაკისი 46), ფისასი (ვენეტიდისი 62), გუმასი, ვოკოლოსი, მ. კონსტანტინიდისი (ლაკისი 62), კ. კონსტანტინიდისი (მავროგენიდისი 51), ბასინასი, პაცაცოღლუ, ნინიადისი (ზაგორაკისი 21), გეორგიადისი (თეოდორიდისი 74), არისტიასი (ფრუსოსი 65)
რუსეთი: ნიგმატულინი, თეთრაძე, ხლესტოვი (ანანკო 46), ნიკიფოროვი, სმერტინი, ბუზნიკინი, მოსტოვოი (ხოხლოვი 46), კარპინი (ალენიჩევი 46), ტიტოვი, ბესჩასტნიხი (ჩუგაინოვი 46), გუსევი
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
20 000 მაყურებელი

**ბერძნებმა** და რუსებმა ირაკლიონში ფიცხელი ბრძოლა გამართეს. რუსი ჟურნალისტები ამბობენ: მიუხედავად იმისა, რომ ლამის უთავდამსხმელებოდ ვიყავით, ცუდად არ გვითამაშია, საგოლე მომენტებიც შევქმენით და შუა ხაზშიც ვივარგეთ. დაცვაში კი ორიანი გვეკუთვნისო.

ამ საკითხზე ბერძენთა კომენტარი უცნობია, თუმცა ზურგი რომ მათაც გვარიანად მოშიშვლებოდათ, ცხადია. მასპინძლებმა ჯიქურ შეუტიეს და დასაწყისშივე დაწინაურდნენ. უკვე მეორე წუთზე ხლესტოვი მარჯვენა ფრთაზე ჩაფლავდა და არისტიასმა ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, ეს პირველი გოლი გახლდათ, რომელიც რუსთა მეკარე ნიგმატულინმა ნაკრებში გაუშვა.

მოკლე დროში კონსტანტინიდისს და არისტიადისს უნდა გაეტანათ, მაგრამ ოსტატობა არ ეყოთ. მერე თითქოს სტუმრები გამოფხიზლდნენ, თუმცა დაცვაში ისევ შეცდომა დაუშვეს, ნიკიფოროვმა იმავე არისტიასს დაარტყმევინა და 2:0.

ამან რუსები სულ გადარია და ორ წუთში ერთი ბურთი გაქვითეს — გუსევის დარტყმული მეკარე ელეფთეროპულოსმა თავის წინ მოიგერია და ბუზნიკინმა ვარდნაში გაიტანა. მერე ტიტოვი ათამაშდა, ბესჩასტნიხი რამდენჯერმე კარგ პოზიციაში გაიყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

რუსებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრეს. იმავე გუსევმა მარჯვნიდან საჯარიმოში ჩაკიდა, ბერძენთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა და მოსტოვოის ნაცვლად გამოსულმა ხოხლოვმა ხარიხის ქვეშ შეაგდო. ხოხლოვს გმირად გახდომაც შეეძლო, როცა რამდენიმე წამში მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ელეფთეროპულოსმა იმარჯვა.

მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა მოთამაშეები შეცვალეს. რუსებმა ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს და დაწინაურდნენ კიდეც — ტიტოვმა ბუზნიკინი მეკარეს შეატოვა და მასაც თავი არ შეურცხვენია. მერე ბერძნებმა იძალეს, ერთხელ თეთრაძემ ბურთი კარის ხაზიდანაც გამოიტანა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ, ბულატოვის დაუფიქრებელ პასს მასპინძელთა შეტევა და პენალტი მოჰყვა. ბოლო წუთი იყო, როცა ბასინასმა ციფრთა საბოლოო შესატყვისობა შეაჯერა — 3:3.



დმიტრი ხოხლოვმა (№16) ერთი გაიტანა, ერთიც ააცილა


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# შაქიმეთ, მიდით სანახავადა

**იმ** მოთამაშეთა შორის, რომელთა ნაკრებში გამოძახებაც სვენ გორან ერიკსონმა ტრავმების გამო ვერ შეძლო, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კირონ დაიერიც გახლდათ. 22 წლის ფეხბურთელს, რა ხანია, ფეხის ტკივილი სტანჯავს. პრემიერლიგის ბოლო ტურში მან „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ კი ითამაშა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა. ახლა ექიმები ამბობენ, ამ ბიჭს ოპერაციის გარეშე არაფერი ეშველებაო.

ეს რა უბედურება სჭირს „ნიუკასლს“. ალან შირერს მუხლის ოპერაციის შემდეგ ცხრა კვირა გაუცდა და ახლახლა დაბრუნდა გუნდში. ასევე მუხლის ტრავმის გამო, აგვისტოს მერე ვერ თამაშობს 27 წლის ბერძენი მცველი ნიკოს დაბიზასი. ზაფხულში შვიდ მილიონ გირვანქად ნაყიდი 23 წლის თავდამსხმელი კარლ კორტი სულ ხუთჯერ გავიდა მინდორზე და ბარძაყი დაიშავა.

დაიერის ტრავმა მისთვისაც დიდად სამწუხაროა და კლუბისთვისაცო, თქვა დაღონებულმა ბობი რობსონმა, ნიუკასლელთა თავკაცმა, თუმც თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ კირონს ოპერაცია საბოლოოდ გამოაჯანმრთელებსო. აქვე დავუმატოთ, რომ დაიერს მხოლოდ რამდენიმე კვირა გაუცდება, არადა, რობსონი თავიდან შიშობდა, ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე დავკარგეო.

**გიორგი დარჯანია**



კირონ დაიერი ოპერაციას მშვიდად ხვდება

# რაიანის მუხლის გადასარჩენად

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** უელსელს, ფინტების დიდოსტატს, ჩინებულ დრიბლიორ რაიან გიგზს, შესაძლოა, თავისი საფეხბურთო ჯამბაზობა ძვირად დაუჯდეს. მისნაირად ფეხის წვერებზე მოტრიალე, ტექნიკურ ფეხბურთელს მუდამ ემუქრება დაშავების საფრთხე. ჰოდა, გიგზმაც ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში „ვალენსიასთან“ შეხვედრა მუხლქვეშა მყესის დაზიანების გამო ვერ დაასრულა.

შემტევი ნახევარმცველის არყოფნამ მანჩესტერელთა აგრესია დააცხრო და ინგლისელებმა თამაში ფრედ დაამთავრეს. „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ გიგზი მართლაც დიდი დანაკლისია. გუნდმა პრემიერლიგის მომდევნო მატჩი „ლიდსთან“ უნდა გამართოს, თუმცა ლიდსელებთან მოედანზე, შესაძლოა არაერთი სათადარიგო „წითელი ეშმაკი“ ვიხილოთ. მანჩესტერელებს ქვეყნის ჩემპიონატში თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი აქვთ. მათი ძალისხმევა ჩემპიონთა ლიგისკენაა მიმართული. შემდეგ კვირაში მათი მეტოქე ბერძნული „პანათინაიკოსი“ იქნება.

აქ კი, ალბათ, რაიან გიგზს ნამდვილად ვიხილავთ მინდორზე. მაგრამ თუ უელსელი ფორმაში არ აღმოჩნდა, ამით, ბევრი არაფერი შეიცვლება. „მანიუ“ ჯგუფში პირველ ადგილზეა და ორი ქულით უსწრებს „შტურმსა“ და „ვალენსიას“. ძნელი საფიქრებელია, რომ მათ მეოთხედფინალში გასვლას რაიმემ შეუშალოს ხელი. ამ დროისთვის გიგზი ნამდვილად ჯანზე იქნება და მოწინააღმდეგეთა მცველებს მისი თავბრუდამხვევი ფინტებისა და ჯადოხრიკების შეჩერება უმეტესად, ალბათ, ისევ სარმით ან სხვა აკრძალული ილეთებით მოუწევთ.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# გამოდი თამაშგარედან!

## ბეკენბაუერმა ბირჰოფს ალამი აუწია



ოლივერ ბირჰოფი: მაცალეთ, ბატონო!

**გერმანელებმა** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან გუშინდელი მარცხი მტკივნეულად აღიქვეს და, როგორც ხდება ხოლმე, განტევების ვაცის ძიებასაც შეუდგნენ, მაგრამ უშედეგოდ. შეგვიძლია, მთელ გუნდს, მწვრთნელთა ჩათვლით, სინდისის ქენჯნის გარეშე დავადოთ ხელი.

ძნელია, ასეთ მდგომარეობაში ვინმე გამოყო, მაგრამ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ნაკრების მოთამაშეთა შორის ოლივერ ბირჰოფი გამოარჩია. დიდმა კაიზერმა დროებით ფორმიდან ამოვარდნილი ფეხბურთელი გვარიანად „შეამკო“ და გაზეთ „ბილდშიც“ კი გამოაჭენა: „მიუხედავად ცუდი თამაშისა, მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა, რომელმაც მოედანზე 20 წუთს დაჰყო, გამაღიზიანა. საუბარი ბირჰოფზეა.“ მან 67-ე წუთზე კარსტენ იანკერი შეცვალა. ბეკენბაუერი გაოცებულია თავდამსხმელის სიზანტით და იმასაც არ ივიწყებს, რომ ბირჰოფმა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანს იყო მინდორზე, 10 წუთი თამაშგარე მდგომარეობაში გაატარა.

თამაშის დაწყებამდე კი ბირჰოფი დიდ გულზე იყო. მართალია, იცოდა, რომ მატჩის დასაწყისს სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, მაგრამ გულშემატკივრებს ძველი ჯიგრით თამაშს შეჰპირდა და მოედანზე შესულს, ალბათ, ეწადა კიდეც ამის გაკეთება. თუმცა, როგორც ხედავთ, ყოველივე მარცხით დასრულდა.

ბეკენბაუერი მისი თამაშის შეფასებისას დასძენს: „ვერ გამიგია და საკუთარ თავს ვეკითხები, როგორ შეიძლება, ფეხბურთელი ამგვარად თამაშობდეს, როცა მას „მილანშიც“ და ნაკრებშიც ადგილის დამკვიდრება უნდა“? ეჰ, რა დრო დადგა. ყველას გვახსოვს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის ორი გადამწყვეტი გოლი, ორივე ბირჰოფის შესრულებით. მას შემდეგ ოლივერმა ეროვნულ ნაკრების ძირითადში ფეხი მყარად მოიკიდა. იგი სერია A-შიც ჩინებულად თამაშობდა.

დღეს ბირჰოფი ყველას ჰპირდება, რომ ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს, ამტკიცებს, რომ ასაკი მისთვის არაფერია, მაგრამ ბევრს უკვე აღარ სჯერა გერმანიის ნაკრების კაპიტნის. მწვრთნელ რუდი ფიოლერისთვის იგი აღარაა უყოყმანოდ ძირითადის კაცი.

**განო ოქროპირიძე**



რაიან გიგზისთვის თაყვანისმცემელთა სიმრავლე ჩვეული ამბავია

# ნეტავი თქვენ!!!

## კრაკოველები უშუქობამ, უკაცრავად, უქულობამ ქუჩაში გაიყვანა

**მორიგი** ვნებათაღელვა საფეხბურთო თემაზე. ამჯერად პოლონეთის ქალაქ კრაკოვში აირია მონასტერი. რამდენიმე ასეულმა გულშემატკივარმა ქუჩა გადაკეტა, მათ წარმატებით განახორციელეს ჩანაფიქრი და ქალაქის სავოევოდო ადმინისტრაციის სრულ იზოლაციას მიაღწიეს. რამ აიძულა ქომაგები, ასე მოქცეულიყვნენ? სათაყვანებელი გუნდის დღევანდელმა პატივაყრილმა მდგომარეობამ. საფეხბურთო კლუბი „კრაკოვი“ ერთ-ერთი უძველესია პოლონეთში.

წარსულში თავგამოჩენილები ახლა ოდენ ქვეყნის მესამე ლიგაში ცოდვილობენ. მოგეშლება ნერვები, აბა, რა იქნება? მაგრამ ფეხბურთი სპორტია და სახელმწიფო წესრიგის დარღვევას, თუნდაც სამართლიანს, ვერ შეეგუება. ამიტომაც, მოჯანყეებთან უმალ გაჩდნენ სპეცდანიშნულების რაზმები. ატყდა დავიდარაბა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

პოლიციელებმა ჩხუბისთავებს რეზინის ტყვიები დაუშინეს, არც დამხვდურები აღმოჩნდნენ ჯაბანნი და ქალაქის მედსამსახურსაც საქმე გაუჩნდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცენტრი სამთავრობო ძალებმა იგდეს ხელთ, დაჩაგრულ-დაქსაქსული გულშემატკივრებიც აქა-იქ თუ ესხმოდნენ თავს მაღაზიის ვიტრინებს. პოლიციელებმა ოცი ყველაზე აგრესიული ქომაგი დააპატიმრეს. არეულობას, ალბათ, სამართალდამცავები ჩვეულებისამებრ მალე მოუღებენ ბოლოს და კრაკოვიც ჩვეულ მთვლემარე ცხოვრებას დაუბრუნდება.

# მარსელმა მარსელი ლონდონში გაცვალა

**მსოფლიოსა** და ევროპის ჩემპიონს, ფრანგ მცველს მარსელ დესაის სარფიანი წინადადებები არ აკლდა. მარსელის „ოლიმპიკი“, „პარი სენ ჟერმენი“, იტალიური „მილანი“ — ეს ის კლუბები არიან, რომლებსაც ლონდონის „ჩელსის“ მცველის თავისთან ხილვა სურდათ და სოლიდური თანხის გადახდასაც არ ერიდებოდნენ, მაგრამ დესაიმ არჩევანი გააკეთა და ამის შესახებ გუშინ საზოგადოებასაც ამცნო.

„მართალია, იტალიური და ფრანგული კლუბები მეპატიჟებიან, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებ. კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ, ერთი-ორი წელი კიდევ ვითამაშებ. ძალიან მინდა, ბოლო მატჩი „ჩელსის“ მაისურით ჩავატარო“. — აღნიშნა დესაიმ და დასძინა — „უკვე გადავწყვიტე, კარიერას ლონდონში დავასრულებ“.

ამ განცხადებით ფრანგმა ვეტერანმა ბოლო მოუღო საზოგადოებაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს დესაის „არისტოკრატების“ იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან უთანხმოება ჰქონდაო. თუმცა ამასთან დაკავშირებით დესაიმ საგანგებოდ ილაპარაკა.

„რანიერისთან ისეთი ურთიერთობა მაქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს მწვრთნელთან. არანაირი პრობლემა ჩვენს შორის არ არსებობს. პირიქით, მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. ახლა გუნდს არცთუ კარგი პერიოდი უდგას, მაგრამ ეს სიძნელეები უნდა გადავლახოთ და მხოლოდ წარმატებებზე ვიფიქროთ. შესაძლოა, წლეულს საკადრისი შედეგი ვერ ვაჩვენოთ, მაგრამ რეალურად თუ განვსჯით, „ჩელსის“ აშკარად ძალუძს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება“ — იმედიანადაა მარსელ დესაი.



მარსელ დესაი (მარცხნივ): „ჩელსი“ ყველას მირჩევნია

# ვიერი ხომ არ დავიბრუნოთ?



კრისტიან ვიერი

**ზოგიერთი** სააგენტოს მიერ გავრცელებული ერთ საინტერესო ცნობას გაუწყებთ. ტურინის „იუვენტუსს“ მოუწადინებია, გუნდის ყოფილი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი მილანის „ინტერიდან“ დაიბრუნოს. ამ ცნობას „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის სიტყვებიც ადასტურებს: „ვიერი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია. ვთვლი, რომ იგი და ზინედინ ზიდანი ერთ გუნდში უძლიერეს წყვილს შექმნიან“. კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი — თითქოს ტურინელებმა მილანელებს ვიერისა და ფილიპო ინძაგის გაცვლა შესთავაზეს.

27 წლის ვიერი ტურინის „იუვენტუსში“ ბერგამოს „ატალანტიდან“ გადავიდა და „დელე ალპიზე“ 1997 წლამდე ითამაშა. შემდეგ იგი მადრიდის „ატლეტიკომ“ შეიძინა, ესპანეთის დედაქალაქის კლუბში ჩატარებულ 24 მატჩში ვიერიმ ზუსტად ამდენივე გოლი გაიტანა. რამდენიმე ხანში კი კრისტიანი რომის „ლაციოში“ მოხვდა, რომლის შემადგენლობაშიც თასების თასი მოიგო და შემდეგ „ინტერში“ გადაბარგდა. ამ გადასვლით მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი დაამყარა — მილანელებმა რომაელებს 50 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ამჟამად ვიერი მსოფლიოში მესამე ძვირადღირებული მოთამაშეა ლუიშ ფიგუსა და ერნან კრესპოს შემდეგ.



REUTERS

პორტუგალია — ანდორა 3:0. ლუიშ ფიგუ მხოლოდ ორ გოლს დასჯერდა

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი

## ევროპა

### II ჯგუფი

**პორტუგალია 3:0 ანდორა**

1:0 ფიგუ (1), 2:0 პაულეტა (36), 3:0 ფიგუ (48)

**პორტუგალია:** კიმი, შავიერი, რუი ჟორჟი, ფერნანდუ კოუტუ (ნუნუ კაპუშუ 46), ბეტუ სევერუ, პაულუ ბენტუ (ჟოაუ პინტუ 63), სერჟიუ კონსეისაუ, ფიგუ, რუი კოშტა, ნუნუ გომეში (ჟოაუ ტომასი 75), პაულეტა

**ანდორა:** ალვარესი, პოლი, რამირესი, ხონასი, ლუჩენდო (სორია 89), ლუენა, გონსალესი (ესკურა 61), სონეხე, რუისი, დერნაუსი, სანჩესი (გარსია 89)

მსაჯი: პოლ ალერი (ბელგია)

12 000 მაყურებელი

**ლუიშ ფიგუმ** ანდორელებს ორი გოლი გაუტანა და ჰეთ თრიქამდე ცოტა დააკლდა. თამაში დაიწყო და მასპინძელთა პირველივე შეტევა სტუმრებმა ჯარიმის ფასად შეაჩერეს. ჯარიმის შესრულება რუი კოშტამ ითავა, ფიგუს ჩააწოდა და კოლდო ალვარესის კარისკენ პირველივე დარტყმა გოლით დასრულდა. მერე პაულეტიმ გაიხარა, როცა რუი ჟორჟეს ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა. პირველ ტაიმშივე ფიგუს მესამის გატანა შეეძლო, საჯარიმოც კარგად შეასრულა, მაგრამ ბურთი მხოლოდ ძელს გაარტყა. მეორე ტაიმის დასაწყისში ფიგუ უფრო ზუსტი იყო. შვიდთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდის მერე მინდორზე დაბრუნებულმა ნუნუ გომეშმა რეალელს საგოლე პასი გაუკეთა.

ანდორა რა გუნდიცაა, ახსნა არ სჭირდება. აი, თუნდაც კარისკენ დარტყმული დავთვალოთ. პორტუგალიელებმა ალვარესი დაახლოებით ორმოცდაათჯერ შეაწუხეს, მაშინ, როცა სტუმრებმა მხოლოდ ექვსჯერ დაარტყეს. ამასთანავე, არც ამ ექვსი დარტყმის მოგერიება გასჭირვებია მაინცდამაინც მეკარე კიმს.

მატჩის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ თქვა, თამაშით და შედეგით კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ სამი რაა, მეტი გოლი უნდა გაგვეტანაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | 0 |

*24 მარტს: ანდორა — ჰოლანდია*

*კვიპროსი — ირლანდია*

### VI ჯგუფი

**ბელგია 10:1 სან მარინო**

1:0 ვანდერეიკე (10), 2:0 მპენზა (13), 3:0 გოორი (26), 4:0 ვანდერეიკე (50), 5:0 გოორი (60), 6:0 ბასეჯიო (64), 7:0 ვილმოტსი (72), 8:0, 9:0, 10:0 პეეტერსი (76, 84, 88), 10:1 სელვა (90)

**ბელგია:** დე ვლიგერი, დეფლანდრე (კრასონი 67), ვან მეირი, ვან ბუიტენი, დეედენი, ენგელბერტი (პეეტერსი 59), ვანდერეიკე, ბასეჯიო (ვერმანტი 75), გოორი, ე. მპენზა, ვილმოტსი

**სან მარინო:** გასპერონი, ჯენარი, გობი, დელა ბალდა, მარანი, მატეონი, მუკიოლი, სელვა, ვალენტინი, ძონძინი (ვანუჩი 78), დე ლუიჯი (ბული 87)

მსაჯი: სტენ კალდმა (ესტონეთი)

40 104 მაყურებელი

**ბელგია** 10:0 იგებდა და ყველაფერი დიდი ხნის გარკვეული იყო. ბოლო წუთზე სან მარინოელთა ერთადერთმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა, ენდი სელვამ საჯარიმო გაიტანა და უნდა გენახათ როგორ გაიხარა. რატომ? ბოლო ხუთ წელიწადში ეს სანმარინოელთა ოდენ მეორე გოლი იყო და, აბა, როგორ არ აღნიშნავდნენ.

სათქმელი მეტი არაფერია. ბელგიელთა ყველა გოლი რომ აღვწეროთ, სხვა მატჩების მიმოხილვისთვის ადგილი არ დაგვრჩება.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 14:1 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |

*24 მარტს: ხორვატია — ლატვია*

*შოტლანდია — ბელგია*

# აქ უნდა დარჩე, ჩემო ნიკოლა

**ფრანგული** საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდ პსჟ-ს რთული სატურნირო, ეკონომიკური თუ სხვაგვარი პრობლემები მოსძალებია. პარიზულ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გამსვლელთა ამალაში შეღწევა ძალიან გაუჭირდება.

ეროვნულ ჩემპიონატში პარიზელთა თამაშიც არ იძლევა გაისად რომელიმე ევროტურნირზე მოხვედრის იმედს, ამას ისიც დავუმატოთ, რომ ისინი საფრანგეთის თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ. ასე რომ, პსჟ თავმოყვარე და ამბიციური გუნდისთვის შესაფერისი ტურნირების გარეშე რჩება. ცხადია, მასზე ეს სასიკეთოდ არ იმოქმედებს. ყველაზე მეტად კი პარიზელთა სალარო დაზარალდება.

მომავალ სეზონში პსჟ ევროტურნირებისგან ცენტითაც ვერ გამდიდრდება. ცხადია, გუნდი ამ სიტუაციაში ფეხბურთელების სარფიანად გაყიდვას შეეცდება. ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა ლორან პერპერმა უკვე გააკეთა განცხადება. იგი, ალბათ, საკმაოდ ბევრ ფეხბურთელს შეელევა. ერთადერთი, ვინაც გუნდში საგაისოდაც დაიჯავშნა ადგილი, ნიკოლა ანელკაა. იგი 22 წლისა გახდება და მიუხედავად ამისა, უკვე მოუსწრია „არსენალსა“ და „რეალში“ თამაში. პერპერს ახალგაზრდა თავდამსხმელი არ ეთმობა, რა დაუშავა ანელკამ კლუბის პრეზიდენტს ამის ფასი? არ ვიცით, ერთი რამ კი ნათელია — მრავალგრანდგამოცვლილი, დიდების მაძიებელი ანელკა მომავალ სეზონში პსჟ-ში თამაშით ბედნიერი, ალბათ ვერ იქნება.



ნიკოლა ანელკა

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი

## კონკაკაფი

### ფინალური ჯგუფი

I ტური

**აშშ 2:0 მექსიკა**

1:0 ვოლფი (47), 2:0 სტიუარტი (88)

**აშშ:** ფრიდელი, რეგისი, აგოსი, პოპი, სანე, არმასი, რეინა (მეტისი 43), ჯონსი, სტიუარტი, მაკბრაიდი (ვოლფი 15), მური (ლამოსა 79)

**მექსიკა:** კამპოსი, სუარესი, მარკესი (ვ. რუისი 69), მაკიასი, კარმონა (სეპედა 57), მ. რუისი, პარდო, ვილა, ლუნა (არელანო 75), ერნანდესი, პალენსია

მსაჯი: რუდოლფო სიბრიანი (სალვადორი)

24 624 მაყურებელი

**იამაიკა 1:0 ტრინიდადი და ტობაგო**

1:0 მარშალი (15)

**კოსტა რიკა 2:2 ჰონდურასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იამაიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოსტა რიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჰონდურასი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ტრინიდადი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მექსიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

24 მარტს: კოსტა რიკა — ტრინიდადი და ტობაგო

25 მარტს: მექსიკა — იამაიკა

28 მარტს: ჰონდურასი — აშშ

3 საუკეთესო გუნდი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიელი** მცველის ჯუზეპე პანკაროს შეძენის სურვილი მილანის „ინტერმა“ გამოთქვა. მილანელთა მწვრთნელი მარკო ტარდელი ფლანგზე მოთამაშე ძლიერ ფეხბურთელებს ეძებს და სწორედ იტალიის ნაკრების წევრს დაადგა თვალი. პანკარო „ლაციოში“ 1997 წელს ჩაირიცხა და მას შემდეგ „ინტერმა“ არაერთხელ შესთავაზა „სან სიროზე“ გადასვლა, თუმცა რომაელთა ხელმძღვანელები აქამდე უარობდნენ მის გაყიდვას. ვარაუდობენ, რომ პანკაროს „ლაციოდან“ გაშვებას არც ამჟამინდელი მწვრთნელი დინო ძოფი ისურვებს. აქვე ავღნიშნოთ, რომ პანკაროს გადაბირების სურვილი ადრე მადრიდის „რეალსაც“ გამოუთქვამს.

**ირლანდიელი** მცველი სტივენ კარი „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. მას საზარდულის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ფეხბურთელმა ამ სეზონის უმეტესი ნაწილი სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. „ამ დღეებში გერმანიაში გავემგზავრები და იქ ვიმკურნალებ. ექიმების ვარაუდით, დაახლოებით ექვს კვირას გავაცდენ. ვიმედოვნებ, რომ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის და ბოლომდე გამოვჯანმრთელდები, მერე კი გუნდის დახმარებასაც შევძლებ“ — განაცხადა ლონდონური კლუბის ფეხბურთელმა.

**უკრაინელი** ფორვარდი სერგეი სკაჩენკო ფრანგულმა „მეცმა“ სეზონის ბოლომდე იჯარით შვეიცარიულ „ქსამაქსში“ გაუშვა. 28 წლის ფეხბურთელმა „მეცის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და დროებით სხვაგან თამაში არჩია. გათვალისწინებულია, რომ მხარეების სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, „ქსამაქსმა“ სკაჩენკო თავისთან დაიტოვოს. „ვიმედოვნებ, რომ ახალ კლუბში თავს გამოვიჩენ და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გავხდები, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას კლუბის დროებით გამოცვლა ვამჯობინე“ — განაცხადა უკრაინელმა.

**ბულგარეთის** წლის საუკეთესო ფეხბურთელ გეორგი ივანოვს ესპანური „ვალენსია“ ეპატიჟება და მის სანაცვლოდ სოფიის „ლევსკის“ 13 მილიონ დოლარს სთავაზობს. როგორც ამბობენ, ბულგარული კლუბის წარმომადგენელი ცოტა ხნის წინ ესპანეთში ჩავიდა, რათა პრიმერადივიზიონელებს შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკებოდა. თუ შეთანხმება მალე არ განხორციელდა, „ლევსკი“ ივანოვს საევროთასო განაცხადში შეიყვანს და ამის შემდეგ „ვალენსიამ“ ფეხბურთელი რომც შეიძინოს, იგი ესპანელებს ევროთასებზე ველარ დაეხმარება.

**პორტუგალიური** „ვიტორია გიმარაეშის“ ახალ მწვრთნელად აუგუსტუ ინასიუ დანიშნეს. ამ სპეციალისტმა შარშან „სპორტინგი“ ქვეყნის ჩემპიონი გახადა, თუმცა ცოტა ხნის წინ იგი ლისაბონური კლუბიდან დაითხოვეს. „გიმარაეშს“ ახლა უჭირს და ქვედა ლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. წინა ტურში „სალგეირუშთან“ წაგების შემდეგ გუნდის მწვრთნელის პოსტი რაფაელ სალდომ დატოვა. სეზონის დაწყებიდან კი „გიმარაეშმა“ კიდევ ორი თავკაცი ალვარუ მაგალეში და პაულუ აუტოსიუ შეცვალეს. კლუბის კრიზისიდან გამოყვანა ვერც მათ მოახერხეს.

**თურქულმა** „ადანასფორმა“ გერმანელი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი დაითხოვა. „ფენერბაჰჩეს“ და „შტუტგარტის“ ყოფილმა თავკაცმა ამ პოსტზე მხოლოდ რვა კვირა გაძლო. თავად ლიოვის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობამ მას ნორმალური სამუშაო პირობები ვერ შეუქმნა და იდეების განხორციელების საშუალება არ მისცა. „ადანასფორში“ გერმანელის შემცვლელი, უფრო სწორედ კი შემცვლელები უცბად გამონახეს. გუნდს ქემალ ილდირიმი და აჰმეთ ზიაია გაწვრთნიან.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ მცველი ენდი მორისონი მალე, შესაძლოა, მეორე დივიზიონის „ბრისტოლ სიტიში“ აღმოჩნდეს. მანჩესტერელები მის სანაცვლოდ 150 ათას გირვანქას ითხოვენ და ბრისტოლელებიც, როგორც ჩანს, დათანხმდებიან. „მეინ როუდზე“ პოლ რიჩის, სტივ ჰაუის და რიჩარდ დანის მისვლის შემდეგ გუნდში მორისონის ადგილი აღარაა. კლუბს ტოვებს ნახევარმცველი იან ბიშოპიც. მან ამერიკულ „მაიამისთან“ გააფორმა კონტრაქტი და ახლა სამუშაო ვიზის მიღების მოლოდინშია. 35 წლის ფეხბურთელმა ამერიკული არჩევანი ევროპელ ვეტერანთა მიბაძვით გააკეთა, რომლებიც უკანასკნელ საფეხბურთო წლებს მეიჯორ ლიგაში ატარებენ.

**იტალიური** „ატალანტას“ მწვრთნელმა ჯოვანი ვავასორიმ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. ამ სპეციალისტმა ბერგამოული კლუბი წელიწადნახევრის წინ ჩაიბარა, სერია B-დან სერია A-ში გადაიყვანა, ხოლო წლეულს შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. ვავასორი მანამდეც „ატალანტაში“ მუშაობდა, თუმც ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში. „ჯოვანის შედეგებით კმაყოფილნი ვართ, მიხარია, რომ 2005 წლამდე ჩვენთან დარჩენა ისურვა“ — განაცხადა „ატალანტას“ პრეზიდენტმა ივანო რუჯერიმ.

**გერმანელი** ნახევარმცველი კრისტიან ციგე, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა ბერლინის „ჰერტაში“ გააგრძელოს. ბუნდესლიგური კლუბი პრემიერლიგურ „ლივერპულთან“ მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და არ გამორიცხავენ, რომ 29 წლის ფეხბურთელი ზაფხულიდან გადავიდეს ბერლინურ კლუბში. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულამდე“ ციგე „მიდლსბროს“, იტალიური „მილანის“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავდა.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის ლიდერი „ფულემი“ მზადაა, „მონაკოს“ მცველი მარტინ ჯეტუ შეიძინოს და მის სანაცვლოდ კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ლონდონური გუნდი ფრანგულთან მოლაპარაკებებს მალე გააჩაღებს და ჯეტუ ახალ სეზონს ალბათ ინგლისში დაიწყებს. ბრიტანეთში მოხვედრა მას სხვა გზითაც შეუძლია, რადგან მისი შეძენით ლონდონის კიდევ ორი კლუბი — „არსენალი“ და „ჩელსია“ დაინტერესებული.

**ესპანელმა** თავდამსხმელმა დანი გარსიამ უარყო ხმები, თითქოს „ბარსელონადან“ წასვლას აპირებდეს. ასევე გამორიცხა, რომ კარიერა „მიდლსბროში“ გააგრძელოს. „მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ბრიტანეთში ბევრს საუბრობენ, „ბარსელონადან“ წასვლა არც მიფიქრია. ამაზე უკეთეს კლუბს ვერ მოვნახავ, სხვაა, თუ თავად „ბარსას“ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ჩემს გაშვებას, ისე კი კლუბთან კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს“ — განაცხადა დანიმ, რომლის შეძენის სურვილი „მიდლსბროს“ გარდა „ნიუკასლ იუნაიტედმაც“ გამოთქვა.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

UEFA FUTSAL

# ესეც ფეხბურთია

## რამდენიმე წუთიც და ქართველი ევროპის ჩემპიონი გახდებოდა

**ფინალი**

**ესპანეთი 2:1 დ.დ.(1:1) უკრაინა**

0:1 მელნიკოვი (26), 1:1 რიკერი (32), 2:1 ხავი სანჩესი (44)

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**რუსეთი 2:1 დ.დ. (1:1) იტალია**

1:0 ალეკბეროვი (7), 1:1 ფოლია (29), 2:1 ივანოვი (48)



ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა სერგეი ქორიძემ (№4) ესპანელ კიკე ბონეტის არ დაარტყმევინა

**ჰარი** დგას, ოღონდ პატარა. მოედანიც არის, ოღონდ ასევე პატარა და ხის ძელებით. ბურთიც არის — ნატურალური ზომის, თუმცა ოდნავ მძიმე. ჰოდა, რითი არაა ფეხბურთი.

მოსკოვში დასრულებული მინი-ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატი ესპანეთმა მოიგო, თუმცა ვეჭვობ, ეს დიდი ნუგეში იყოს დიდი ფეხბურთის ქომაგი ესპანელი გულშემატკივრისთვის, რომელთა სათაყვანო გუნდი ბირმინგემში შერცხვა. ოღონდ თემას ძალიან ნუ გავცდებით და ქვემოთ მხოლოდ დარბაზში მობურთალეებზე ვილაპარაკოთ.

ესპანეთი და უკრაინა ჩემპიონატის პირველ მატჩშიც მეტოქეები იყვნენ და მომავალმა ჩემპიონებმა 4:1 მოუგეს მომავალ მეორეადგილოსნებს. მაგრამ განა არ ვიცით, რომ ფინალში ძველი მოგება არაფერს ნიშნავს? ჰოდა, უკრაინელებმაც იბრძოლეს და მეტოქეს კინაღამ გამოსტაცეს ჩემპიონობა.

გავიხსენოთ, რომ მინი-ფეხბურთში ტაიმი ოც წუთს გრძელდება (ჰოკეისა და კალათბურთის მსგავსად, სუფთა დრო აითვლება) და შესაბამისად, მთლიანი მატჩი ორმოცწუთიანია, ამიტომ ესპანელი რიკერის 32-ე წუთზე გატანილი გვიან გოლად შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

იმის მოსაყოლად, თუ როგორ თამაშობენ ესპანელი მოდარბაზენი, რომლებიც, სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან, კორიდა უნდა გავიხსენოთ.

კორიდაში, რომელსაც ზოგი სისხლისმსმელთა სასტიკ გასართობს უწოდებს, ესპანელთათვის კი ეროვნულ სიამაყეა, მატადორი არ ჩქარობს, ხარს ნელ-ნელა უახლოვდება და თანდათანობით აღიზიანებს. მთელი მისი მოქმედება ერთ მიზანს ემსახურება — ხარს გადამწყვეტი, სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს.

ესპანური მინი-ფეხბურთის სკოლაც კორიდას პრინციპზეა აგებული. არავის უნახავს, ფეხბურთელები პირველი წუთიდან თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყვნენ მეტოქის კარის დასალაშქრავად. ეს ტაქტიკა მუდმივად ამართლებდა.



ოქროს გოლის ავტორი ხავი სანჩესი (№9) და ხავი როდრიგესი

კორიდაში ზოგჯერ ხარი სჯობნის მატადორს და რა გასაკვირია, ზოგჯერ ესპანელი ფეხბურთელებიც წამოეგონ მეტოქის რქებზე. საფეხბურთო ენაზე ეს ასე გამოითქმის — უკრაინელებმა ესპანელთა წამიერი უყურადღებობით ისარგებლეს და მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე მელნიკოვმა გოლი გაიტანა.

რა ვქნათ, ისევ კორიდას უნდა მივუბრუნდეთ. იქ ხარის რქებს წამოგებული მატადორი, შესაძლოა, თავისი ფეხით გავიდეს არენიდან და შესაძლოა — გაასვენონ.

ესპანეთის ნაკრებს გასვენება არ დასჭირდა და როგორც თავში ვთქვით, ანგარიშის გათანაბრება, დამატებით დროში კი (ორი ხუთ-ხუთ წუთიანი ტაიმები) ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი.

უკრაინის ნაკრებში თამაშობს გვარით ქართველი სერგეი ქორიძე. ვფიქრობთ, საკმაოდ უხერხული შედარებაა, მაგრამ მაინც ვთქვათ — ნაღდი ევროპის ჩემპიონები ამ 41 წლის წინ სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი გახდნენ და ქორიძესაც ჩემპიონობამდე რამდენიმე წუთი დააკლდა. სამაგიეროდ, იგი შვიდი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუსეთმა იტალიას მოუგო. ჩემპიონატის მასპინძლებს ეს ამბავი დიდად არ გახარებიათ, რადგან თავიდან იქადნებოდნენ, უეჭველად ჩემპიონები გავხდებითო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

**გიორგი დარჯანია**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ნუ გაიმეტებთ შავ მუშად!

**— დათო, მოდით, თავიდან დავიწყოთ. თქვენი ძიუდოში მოსვლის რამდენიმე ვერსია არსებობს. გვითხარით, რომელს ვენდოთ?**

— გეთანხმებით, ვერსია მართლაც ბევრია. რა არ თქმულა და დაწერილა, მაგრამ სინამდვილე ერთია. ბავშვობიდანვე სიმსუქნისკენ მქონდა მიდრეკილება. ზუსტად არ მახსოვს, 7 ან 8 წლის ვიქნებოდი, როცა მამაჩემმა ერთ-ერთი მეგობრის რჩევით ძიუდოში მიმიყვანა წონის დასაკლებად. მაგრამ გაგიგონიათ, იმ დღიდან მოყოლებული გრამიც არ დამიკლია, სულ ვიმატებდი და ვიმატებდი. ოღონდ სიმსუქნის პრობლემა აღარ მაწუხებდა. კარგ გარემოში აღმოვჩნდი. ჩემმა დამრიგებლებმა, ომარ მერაბიშვილმა და ცხონებულმა ზაურ მჭედლიძემ უმალ შემაყვარეს ძიუდო. ეს სახეობა მაშინ ახალი შემოსული იყო ქუთაისში. პატარებსაც და დიდებსაც მწვრთნელები გულმოდგინედ გვავარჯიშებდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ „დინამოს" დარბაზში. ჩვენც სიბეჯითით ვპასუხობდით. ძალიან იშვიათად, ვარჯიში გამეცდინოს.

**— პირველი შეჯიბრი თუ გახსოვთ?**

— როგორ არა, ძიუდოში ვარჯიშის დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ იყო, თანატოლთა შორის ქალაქის პირველობაზე გავიმარჯვე. დღემდე ტკბილ მოგონებად შემომრჩა ის დღე. ბაბუაჩემი ჭიჭიკო ხახალეიშვილი, სიმართლე გითხრათ, სპორტში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა, მაგრამ სიხარულისგან საღამოს ასი ბოთლი შამპანური გახსნა. შვილიშვილი ჩემპიონი გახდაო და სამეზობლოს, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ჩემს წარმატებას ალოცვინებდა. იმ წელსვე ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაშიც მივიღე მონაწილეობა. მე მაშინ კადეტად ვითვლებოდი, ჩემზე უფროსებთან მომიხდა ჭიდაობა, მაგრამ მესამე ადგილი მაინც დავიკავე. აქედან იყო, საქართველოს ნაკრებში მოვხვდი და შემდეგ სხვადასხვა შეჯიბრებებზე ხშირად მიწევდა გამოსვლა. საერთოდ, კარიერაში სულ 5-6 შეჯიბრება თუ იყო ისეთი, მედლის გარეშე რომ დავრჩენილიყავი.

**— საკავშირო სად გამოიჩინეთ პირველად თავი?**

— ვოლგოგრადში, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. მაშინაც მეტოქეებთან შედარებით უმცროსი ვიყავი. მაგრამ მესამე ადგილზე გავედი. მერე აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ ვიჭიდავე საკავშირო დინამიადებზე, სპარტაკიადებზე, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ჩემპიონატებში თუ ტურნირებზე. რაც მთავარია, წარმატებით ვასპარეზობდი.

**— საერთაშორისო სარბიელზე სად შედგა თქვენი დებიუტი?**

— ყოფილ გდრ-ში. ქალაქ მაირენის საერთაშორისო ტურნირზე. თუ არ ვცდები, 1989 წელი იყო. ეს ტურნირი მოვიგე. ფინალში ფრანკ მიოლერს ვაჯობე. ამ გერმანელს მაშინ დავუმეგობრდი. მერეც ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს ტატამზე. ძლიერი ძიუდოისტი გახლდათ. ღირსეული მეტოქე, მაგრამ, ეტყობა, ჩემთან პირველმა მარცხმა დათრგუნა. მიოლერთან საერთოდ არ წამიგია. დაახლოებით იმავე პერიოდს უკავშირდება კურიოზული შემთხვევა. ავსტრიაში ევროპის გუნდური ჩემპიონატი ტარდებოდა დიდებში. ჭაბუკური ასაკისა გახლდით. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა მოულოდნელად გამომიძახეს სასპარეზოდ. მეტოქეებზე ბევრად უმცროსი ვიყავი და, ცოტა არ იყოს, დავიბენი. გამოუცდელობამ თავი იჩინა და ოთხივე შეხვედრაში დავმარცხდი. არადა, საბჭოთა გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი სხვებთან ერთად მეც მერგო, თანაც გამარჯვებულის თასი, როგორც მძიმეწონოსანს, მე გადმომცეს. ორჯერ მოვიპოვე ახალგაზრდებს შორის კონტინენტის ჩემპიონის ტიტული, დიდებში ევროპის ჩემპიონატზე მესამე პრიზიორი გავხდი.

**— 1991 წელს ბარსელონაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლეთ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატება იყო. ვიცით, სნგ-ს გუნდის შემადგენლობაში ესპანეთში გამგზავრება ქართველებს ძვირი დაგიჯდათ. ჩვენი მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ერის მოღალატეებადაც" კი მოგნათლეს.**

— დიახ. მძიმე პერიოდი გადავიტანეთ. საქართველოს დამოუკიდებლობას როგორ არ მივესალმებოდით, ჩვენ საკუთარი ქვეყნის დროშის ქვეშ ასპარეზობა გვერჩივნა. ეს ბუნებრივია, მაგრამ მაშინ, კარგად მოგეხსენებათ, ამ შესაძლებლობას მოკლებულნი ვიყავით. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და შანსის ხელიდან გაშვება არ გვინდოდა. ბევრ წინაალმდეგობას წავაწყდით, შეიძლება ითქვას, დიდ რისკზე წავედით. მადლობა ღმერთს, შედეგი ვაჩვენეთ, თორემ... ფინალი ოგავასთან დავთმე. იაპონელი მაშინ დიდების ზენიტში იყო და გული არ გამტეხია, ვიცოდი, კიდევ გადავეყრებოდით ერთმანეთს და რევანშს ადრე თუ გვიან ავიღებდი.

**— და ისევ ბარსელონა. ერთი წლის შემდეგ თქვენ იქვე ყველა სპორტსმენისთვის**

*1992 წლის 27 ივლისს პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საქართველოს დროშა აღიმართა და სახელმწიფო ჰიმნი აჟღერდა. ეს მოხდა ბარსელონაში და 21 წლის ქუთაისელი ძიუდოისტის პატივსაცემად. მძიმეწონოსანთა ფინალურ ორთაბრძოლაში დავით ხახალეიშვილმა წუთსა და ხუთ წამში წმინდად დაამარცხა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იაპონელი ნაოია ოგავა.*

*ქართველებს ოლიმპიური ჩემპიონები მანამდე ბევრი გვყოლია, ოღონდ ისინი მაშინ „დიადი საბჭოეთს" წარმოადგენდნენ და რომელ ქართულ დროშაზე ან ჰიმნზე იქნებოდა ლაპარაკი. ხახალეიშვილი პირველი გახლდათ, ვინც სამშობლოს ასეთი დიდება არგუნა. მის სპორტულ ნადავლს ოლიმპიურ ოქროსთან ერთად სხვა მრავალი ჯილდოც ამშვენებს. დიახ, იყო დიდი წარმატებები, გამარჯვებებით გამოწვეული დიდი სიხარული, მაგრამ დიდი სინანული, ბედის უკუღმართობაც იყო. თუნდაც XXVI ოლიმპიური თამაშები გავიხსენოთ. ატლანტაში მეორე ოქროს მედლის მოსაპოვებლად ჩასულ ხახალეიშვილს მავანთა დანაშაულებრივი დაუდევრობით ტატამზე გასვლაც კი არ ეღირსა. უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: დავითი საგალდებულო წინასწარ აწონვაზე დაგვიანებით მიიყვანეს და ამის გამო იგი შეჯიბრიდან მოიხსნა.*

*ერთი კაცისთვის მაინც ბევრს მიაღწია სპორტში ხახალეიშვილმა, მაგრამ გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო. მან ნაადრევად, 26 წლისამ დაასრულა სპორტული კარიერა. გუშინწინ ბარსელონის გმირი 30 წლისა შესრულდა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს სახელოვანი სპორტსმენის გულახდილი საუბარი.*

**სანატრელ ჯილდოს, ოლიმპიურ ოქროს მედალს დაეუფლეთ...**

— ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემი მონაწილეობა ბოლო მომენტამდე ძალიან საეჭვო იყო. მართალია, წინასწარი შეთანხმებით, სნგ-ს გუნდს ქართველები საკუთარი დროშით და ჰიმნით უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ იქ მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. სხვა ერების სპორტსმენები რუსებზე ერთი თავით მაღლა უნდა მდგარიყვნენ. გულახდილად ვამბობ, იმედი გადაწურული მქონდა. მძიმე წონაში უპირველეს კანდიდატად მსოფლიოს ჩემპიონი კოსოროტოვი მიაჩნდათ. მაშინ ამის გამო სათანადოდ ვერ მოვემზადე, მაგრამ არ მომეშვნენ მამაჩემი და ჩემი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი. ყოველ წუთს მამხნევებდნენ, სხვებიც ჩაერივნენ და კოსოროტოვთან საკონტროლო ორთაბრძოლა დაინიშნა. თითქოს შანსი არ მქონდა, მაგრამ ვაჯობე. თუმც არც ეს ჭრიდა. რუს მწვრთნელებს კოსოროტოვის გაყვანა სურდათ. ბოლო-ბოლო საკითხი მაღალ დონეზე გადასაწყვეტი შეიქნა და სამართალმაც იზეიმა. ბარსელონაში აღმოვჩნდი. იქ სხვა გზა აღარ მქონდა, ნდობა უნდა გამემართლებინა. თითქოს ძალა გამიორკეცდა. როგორ და რა შევძელი, ქვეყანამ გაიგო. ფინალში ოგავასთან გამარჯვების შემდეგ თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა. არასდროს დამავიწყდება, როგორ შეეგება ჩემს გაჩემპიონებას დარბაზში მყოფი ოციოდე ქართველი (ამბობენ, ოცამდე თანამემამულე ოგავას მარტო ტატამამდე მიმცილებლად ჰყავდა — ი. კ.), ან როგორ შემხვდნენ ესპანეთიდან დაბრუნებულს ქუთაისში, თბილისში, საერთოდ საქართველოში. იმ სიხარულს, განცდებს რა დამავიწყებს!

**— მიღწეულით არც მომდევნო, 1993 წელს უნდა ემდუროდეთ...**

— რა ვიცი, ნავსი მაინც ვერ გავტეხე. მსოფლიოს ჩემპიონობას ვერ შევწვდი. კანადაში მძიმეში ვერცხლი მერგო, აბსოლუტურში ბრინჯაო... საბერძნეთში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან კი ორი ოქროს მედალი ჩამოვიტანე.

**— ამის შემდეგ კარგა ხანს აღარ გასულხართ ტატამზე?**

— იცით, სპორტსმენმა ფორმა რომ შეინარჩუნოს, რეგულარულად უნდა ივარჯიშოს, თანაც სათანადო პირობებში. ყოფითი პრობლემები ნაკლებად უნდა აწუხებდეს. ჩვენთან კი როგორაა? სპორტსმენი მხოლოდ შეკრების წინ ახსენდებათ. ორ-სამ კვირიან შეკრებას მოაწყობენ და მორჩა. ასე შედეგი არ მოვა. პირად მაგალითზე გეტყვით. თუ დამიჯერებთ, 1991 წლის შემდეგ მე სერიოზულად არ მივარჯიშია. რაღაც ინერციით მივდიოდი. წელიწადზე მეტი გამიცდა. შეჯიბრებები იშვიათად ტარდებოდა, ფორმიდან ლამის საბოლოოდ ამოვვარდი.




**1992 წლის 27 ივლისი. ქართული ძიუდოს ბოლო და ქართული სპორტის ერთ-ერთი ბოლო დიდი გამარჯვება: დავით ხახალეიშვილი ოლიმპიური ჩემპიონია**

**— არადა, ატლანტა ახლოვდებოდა. თქვენ ხომ ნათქვამი გქონდათ, ეს ოლიმპიადაც უნდა მოვიგოო...**

— გავიმეორებ, დიდი შეჯიბრებების მოსაგებად, მით უმეტეს, ოლიმპიადის, მარტო სურვილი არ კმარა, მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. მე ამ შესაძლებლობას მოკლებული ვიყავი. ქუთაისში მუშაობის რა პირობებიც გვქონდა, გეცოდინებათ. ომარ მერაბიშვილი და მისი რამდენიმე თანამოაზრე რომ არა, ძიუდო ქალაქში საერთოდ ჩაკვდებოდა. ცხოვრებამაც თავისი მოითხოვა. ოჯახი შევქმენი. მალე ყველაზე დიდი ქომაგი, მამა გარდამეცვალა. მთელი ტვირთი მე დამაწვა. რაღაც სტიპენდიები და ხელფასები აღარ იყო საკმარისი. სპორტსმენთა პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრით ჩვენთან თავი არავის მოუკლავს. ჩვენი მხრიდან ფინანსებზე საუბარი ხომ სირცხვილად ითვლებოდა. ძალიან ბევრი დაიჩაგრა ამ პერიოდში. ვლადიმერ დგებუაძეზე მწყდება გული. ერთ-ერთი უძლიერესი უნდა ყოფილიყო პლანეტაზე. არა, მან თავისი სიტყვა თქვა ძიუდოში, მაგრამ მეტის გაკეთება შეეძლო. რამდენიც გნებავთ, იმდენს ვიცნობ ისეთს, თავის დროზე მსოფლიოს რომ აზანზარებდა, ახლა კი ჯიბეში „ასტრის" ფული არ უდევს. ჯეროვნად არ აფასებენ, არ უფრთხილდებიან ჩვენთან ჩემპიონებს.

**— თუკი ასეა, შეგეძლოთ გასცლოდით აქაურობას...**

— შემეძლო. წინადადებებიც იყო. ჯერ კიდევ ბარსელონის ოლიმპიადამდე ფრანგები მთავაზობდნენ კარგ პირობებს. ბარსელონის შემდეგაც შემეძლო უცხოეთში გადახვეწა და სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობა, მაგრამ მამას ვეცი პატივი — პატრიოტი იყო და ამ ამბავს ვერ გადაიტანდა. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის სურვილი, სიმართლე გითხრათ, არ მქონდა. ისევ ჩემს სამეგობროს, დამრიგებელ ომარ მერაბიშვილს და ბერდია გუგავას დავუჯერე, წინასაოლიმპიადო წელს ვარჯიში განვაახლე, ნაწილობრივ ფორმა აღვიდგინე. ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, ხოლო იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს დავეუფლე.

**— ვიცით, გულს გტკენთ ატლანტის გახსენება...**

— მტკენს რომელია, მაგრამ დრომ ეს ტკივილი ოდნავ გაანელა. ხშირად მეკითხებიან, შემეძლო თუ არა ატლანტაში ოქროს მედლის მოპოვება. შანსი ნამდვილად იყო. თუნდაც იმიტომ, რომ წილისყრისას, როგორც არასდროს, ისე გამიმართლა. ყველა მთავარი კონკურენტი ერთ ქვეჯგუფში აღმოჩნდა, მე — ცალკე. შედარებით სუსტ მეტოქეებთან მიწევდა შერკინება. ეს რომ შევიტყვე, მაშინვე განვუცხადე ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობას, მილიონი პროცენტით ფინალში ვარ, მერე კი ვნახოთ-თქო. არ დამცალდა ტატამზე გასვლა. აწონვაზე დავაგვიანეთ და მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მომხსნა. კოშმარი იყო. ლამის ჭკუიდან შევიშალეთ მეც და ომარ მერაბიშვილიც.

**— თავად ბრძანეთ, ატლანტის ტკივილი ოდნავ განელდაო და ამიტომ გეკითხებით, ვის თვლით ამ საქმეში მთავარ დამნაშავედ?**

— მე არავის ვადანაშაულებ. ჩვენმა დაბალმა პროფესიონალიზმმა იჩინა თავი, დაუდევრობას ვერ მოვერიეთ. ჩვენმა უფროსმა მწვრთნელმა ბერდია გუგავამ თავის თავზე აიღო ყველაფერი, განაცხადა, ამ საქმეში მთავარი დამნაშავე მე ვარო და პოსტიდან გადადგა. მაგრამ მე ხომ ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში. მაღალი ზნეობის, წესიერი კაცია ბატონი ბერდია. გუგავაზე მეტად სხვებს უნდა ეგოთ პასუხი, მაგრამ ჯოხი სწორედ მასზე გადატყდა. მოგვიანებით ბატონ ბერდიას ჩემი შვილის ნათლიობა ვთხოვე. ამ კაცს უდიდეს პატივს ვცემ, დანარჩენებზე კი რა მოგახსენოთ. მაშინ არ ამომიღია ხმა, როცა უნდა მეყვირა და ახლა ვიკადრებ?!

**— თქვენი, როგორც ძიუდოისტის კარიერა მაშინ დასრულდა?**

— ასე გამოდის. ატლანტის შემდეგ მე, ფაქტობრივად, ორი შეჯიბრება მქონდა და ორივე სამბოში. ჯერ იაპონიაში გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი, მერე საქართველოში. ამ გამარჯვებებით თითქოს რეაბილიტაცია მოვახდინე, მაგრამ, არ დაგიმალავთ, 1997 წელს თბილისში ასპარეზობა ჩემთვის დამამცირებელი გახლდათ. ეს ის გამოსვლა არ იყო, რომელიც მეკადრებოდა და რომელსაც ხალხი ჩემგან ელოდა. მადლიერი მხოლოდ იმისა ვარ, რომ ფინალის დღე, 12 ოქტომბერი მამაჩემის დაბადების დღეს დაემთხვა და ჩემპიონობით პატივი მივაგე მის ხსოვნას.

**— ამის მერე ხომ კიდევ გთხოვდნენ ძიუდოში დაბრუნებას?**

— რა აზრი ჰქონდა. ჩვენთან სპორტსმენი წვრთნის და მომზადების გარეშე უნდათ. არავითარი ხელშეწყობა, შედეგს კი მაქსიმალურს გთხოვენ. ასეთი პოლიტიკით არაფერი გამოვა. ვიმკით კიდეც მოსამკელს. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი დავკარგეთ: ზოგმა სხვა ქვეყანაში გაქცევით უშველა თავს და, ასე თუ ისე, ცხოვრებაც აიწყო, ზოგი კი საერთოდ ჩამოშორდა სპორტს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ პერსპექტივა არ ჩანს. ამას, ეგებ, არც უნდა ვამბობდე, მაგრამ სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ. თქვენ მართალი ბრძანეთ, მთხოვდნენ ძიუდოში დაბრუნებას. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი მესაუბრა, სიდნეის ოლიმპიადისთვის მომზადებას მირჩევდა. რომ მოვმზადებულიყავი, ელემენტარული პირობები მაინც უნდა მქონოდა. ვერ შევთანხმდით. ჩემი საკეთებელი ატლანტაშიც და სიდნეიშიც ფრანგმა დავიდ დუიემ გააკეთა და ალალიც იყოს.

**— თავის დროზე განა დუიეზე ნაკლები იყავით?**

— ვინ იცის...

**— ახლა რას საქმიანობთ, ოჯახს რით არჩენთ?**

— ალბათ ესეც ბედის ირონიაა. დიპლომი არ მაქვს. ზოგი კარგად უთავსებს ერთმანეთს სპორტს და სწავლას, მე კი ამის შესაძლებლობა არ მქონდა. ძიუდო ძალიან ბევრ დროს მართმევდა: შეკრებები, ტურნირები, ჩემპიონატები... წელიწადში ათი თვე ოჯახს მოწყვეტილი ვიყავი, სახლში სტუმარივით გამოვჩნდებოდი-ხოლმე. ჰოდა, ვერ მოვიცალე სასწავლებლად. ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ჩავაბარე, მაგრამ სპორტის გამო ვერ დავამთავრე. ნამდვილად არ მქონდა სწავლის დრო. მერე დავოჯახდი, ერთი შვილი, მეორე, მესამე... სწავლა საერთოდ გადამავიწყდა და დავრჩი ასე უდიპლომოდ. უმაღლესი განათლება არა აქვსო, მიჩივლა ვიღაცამ და სამსახურიდან, საბაჟო დეპარტამენტიდან წამოსვლა მომიხდა. რაღაც საქმეს ხომ უნდა ვწეოდი. მეგობრებთან ერთად ბაღდათის რაიონში მოსაპირკეთებელი ქვის კარიერები ავამუშავეთ, სხვათა შორის, კანონის სრული დაცვით. არც აქ გვაყენებენ. იმდენ დაბრკოლებას გვიქმნიან, მუშაობის ხალისი გვეკარგება. არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია. მრცხვენია კიდეც ასეთი ყოფის. როგორც გნებავთ, ისე გამიგეთ: აქამდე სადმე გადახვეწის სურვილი არ გამჩენია, ყველაფერს ვეგუებოდი, მაგრამ მომბეზრდა. ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, მოვკიდო ცოლ-შვილს ხელი და აქაურობას ძალიან შორს გავეცალ-ო. მადლობა ღმერთს, იმდენი ძალა კი მაქვს, ვინმეს მტვირთავად მაინც გამოვადგე.

**— ხომ არ აჭარბებთ?**

— ამას სრული სერიოზულობით ვამბობ. საქართველოში ცხოვრება გაუსაძლისია. აქ ან ჭკუათხელი უნდა იყო ან...

**— შარშან საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში აპირებდით მონაწილეობის მიღებას...**

— ვაპირებდი, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე. ყრილობას საერთოდ არ დავესწრებივარ.

**იუზა კაციტაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თუ ლიდერები ხართ, დრო მაინც გაიყვანეთ...



REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — ნიუ ჯერსი. ევან ემმეიერმა შარლოტელები უცნაური პასით გააოცა



REUTERS ფილადელფიიდან

ფილადელფია — მაიამი. დიკემბე მუტომბო მაიამელ ტიმ ჰარდევეის უფარებს

28 თებერვალი

**შარლოტი 91:88 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** დევისი (9), ვესლი (26), მაშბურნი (23), ბრაუნი (8), კემპბელი (15); რობინსონი (5), ტორპი (4), მალუა (1), ჯეიმსი

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (19), ჰარისი (10), ვან ჰორნი (15), მარტინი (10), ემმეიერი (9); ნიუმენი (15), ვილიამსი (10), ჯექსონი, სამაკე

„ნიუ ჯერსი ნეთსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას მუხლის ტრავმამ მორიგი შეხვედრა გამოატოვებინა, მისმა გუნდმა კი მორიგი მარცხი იგემა. შარლოტში ჩასულ „ბადეებს" დიდი შანსი ჰქონდათ, იქიდან თავაწეულები დაბრუნებულიყვნენ, ისინი ბოლო წუთებში 12-ქულიან უპირატესობას ფლობდნენ, რაც ფაქტობრივად გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ სამწუხაროდ წააგეს და ეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

ამ ბოლო ხანებში „ნიუ ჯერსი" თითქოს გამოფხიზლდა, მოგებებსაც უხშირა და შარლოტში ჩასული იქაურ „ჰორნეთსთან" გამარჯვებას გეგმავდა. „ბადეებმა" თამაში რიგიანად დაიწყეს, საკმაოდ ძლიერ მეტოქეს თავბრუ დაახვიეს და მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე, როცა „ნეთსის" სათადარიგომ აარონ ვილიამსმა ნახტომში ჩააგდო, ტაბლოზე 85:73 აკიაფდა სტუმართა სასარგებლოდ. აქ კი „ბადეებმა" თავი ქუდში იგრძნეს და საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა მასპინძელთა ლიდერი ჯამალ მაშბურნი. თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში სტუმარ კენიონ მარტინის მარწუხებში მოქცეულმა ჯამალმა აიწყვიტა და მეტოქის კალათის რბევას მიჰყო ხელი. მან ბოლო ექვს წუთში ათი ქულა ჩაუგდო გაოგნებულ და არაფრის მაქნის მეტოქეს და ეს მონაკვეთი თავის გუნდს 18:3 მოაგებინა. „ნიუ ჯერსის" მწვრთნელმა მაშბურნისგან ამ დროს რამდენჯერმე გაბითურებული მარტინი ჯონი ნიუმენით შეცვალა, მაგრამ შარლოტელს უკვე ველარავინ შეაჩერებდა. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე მან სტივენ მარბერის აცილებული სამქულიანი მოხსნა და სტუმრები მაშინვე დაჯარიმდნენ მასზე. მაშბურნმა ორივე საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში 91:86 გახდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ნიუ ჯერსის" გამარჯვება ხელიდან გაუფრინდა. ჯონი ნიუმენის მიერ ზედ საფინალო სირენასთან ერთად ჩატენილი ბურთი სტუმართა მიერ კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა. და რას აკეთებდნენ ამ დროს „ნეთსის" ლიდერები — სტივენ მარბერი და კეიტ ვან ჰორნი? მარბერიმ ხუთივე ნასროლი ააცილა, ამასთან, ორჯერაც დაუფარეს, ვან ჰორნს კი მასპინძელთა მეფარეები, როგორც ბავშვს, ისე უხსნიდნენ და ართმევდნენ ხელიდან ბურთს. „ნეთსის" დამრიგებელმა ბაირონ სკოტმა, რომელიც ამ ბოლო ხანებში შეგირდებს ძველებურად აღარ აკრიტიკებს, ნამატჩევს ორივენი კარგად შეახურა: რა ლიდერები ხართ, თუ გადამწყვეტ წუთებში ბურთი ვერ ჩაგიგდიათ და მოგიხსნიათ, დროის გაყვანაც ვერ მოგიხერხებიათო.

„შარლოტისთვის" ეს გამარჯვება ზედიზედ მეხუთე იყო.

**ინდიანა 99:86 მილუოკი**

**ინდიანა:** მილერი (24), ონილი (17 ქულა, 6 დაფარება), კროშერი (17), როუზი (16 ქულა, 12 პასი)

**მილუოკი:** ჰანტერი (21), ალენი (16), კასელი (16)

**დენვერი 107:101 ლეიკერსი**

**დენვერი:** ვან ექსელი (27 ქულა, 11 პასი), ლაფრენცი (19 ქულა, 5 დაფარება), მაკდაიესი (14 ქულა, 16 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (38 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ონილი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 88:95 ტორონტო**

**ატლანტა:** ტერი (22), ნაითი (20)

**ტორონტო:** კარტერი (38), დევისი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**მინესოტა 111:100 დეტროიტი**

**მინესოტა:** ბრენდონი (23), შჩერბიაკი (22), გარნეტი (18 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (28), ვილიამსონი (21)

**ფილადელფია 79:69 მაიამი**

**ფილადელფია:** აივერსონი (27), მუტომბო (10 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება)

**მაიამი:** ჯონსი (22), ჰარდევეი (20)

**ჩიკაგო 78:95 ჰიუსტონი**

**ჩიკაგო:** ბრენდი (21)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (21), ოლაჯუონი (17)

**ფინიქსი 91:97 ორლანდო**

**ფინიქსი:** ცაკალიდისი (17), კიდი (16 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (16)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (25 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), მილერი (18)

**იუტა 101:83 ვანკუვერი**

**იუტა:** მელოუნი (21), მარშალი (19)

**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (19), ბიბი (17), დიკერსონი (17)

**გოლდენ სტეიტი 101:122 საკრამენტო**

**გოლდენ სტეიტი:** ჯეემისონი (36 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (24), ფანდერბურკი (18 ქულა, 12 მოხსნა)

„ინდიანა პეისერზმა" „მილუოკი ბაქსს" მოუგო. ჯერ კიდევ შარშან ეს ჩვეულებრივ ამბად ალიქმებოდა. მაშინ „ინდიანა" ცენტრალური დივიზიონის ცხრილში პირველობდა, ხოლო „მილუოკი" ერთი რიგითი, საშუალო გუნდი გახლდათ. ამ სეზონში კი მათ როლები გაცვალეს. „ინდიანა" დასუსტდა, თან იმდენად, რომ შესაძლოა პლეი ოფშიც ვერ მოხვდეს. ამიტომაც „მარდები" ტყავში ძვრებიან, ყოველ თამაშში თავს არ ზოგავენ, რათა ეს სირცხვილი არ ჭამონ.

„მილუოკიმ" ორიოდ დღის წინ თვით „ფილადელფიას" სძლია, რამაც სპეციალისტებს აფიქრებინა, ამ დავრდომილ „ინდიანას" სულ ბდღვირს ადენსო. პირიქით კი მოხდა, რაც მილუოკელებმა, შესაძლოა, ერთ-ერთი ლიდერის, ტრავმირებული გლენ რობინსონის არყოფნას დააბრალონ, მაგრამ რა მიზეზებიც არ უნდა დაასახელონ, ვერ უარყოფენ, რომ მეტოქემ მათ მონდომებითა და საბრძოლო სულისკვეთებით აჯობა.

ამ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მასპინძელთა სათადარიგო თავდამსხმელმა ოსტინ კროშერმა, რომელმაც 28:25-ით დამთავრებული პირველი მეოთხედის შემდეგ მეორეში „მილუოკის" 17 ქულა ჩაუგდო და ტაიმი თხუთმეტი ქულის სხვაობით, 59:44 მოაგებინა. ამის შემდეგ ვიცე-ჩემპიონს არ გასჭირვებია შეხვედრის სასურველ ფინალამდე მიყვანა.

„ამ სეზონში ოსტინი დავკარგეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, მას არ დავიწყებია თამაში" — ამბობდა ნამატჩევს „ინდიანას" მწვრთნელი, ლეგენდარული აიზია ტომასი. ამ სეზონში „ინდიანამ" მართლაც დაკარგა ეს ბიჭი. სწორედ ტომასის ინიციატივით სეზონის წინ კლუბმა საკმაოდ სარფიანი, შვიდწლიანი და 51-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა კროშერს, იმ იმედით, რომ იგი წლეულს მოყოჩაღდებოდა და გუნდს ხელს შეაშველებდა. „პეისერზი" სეზონის დაწყებამდე წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს და ტომასის აზრით, უფრო მეტხანს მოთამაშე კროშერი აუცილებლად მოუმატებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. კალათბურთელი ცალკეულ თამაშებში თუ გაიბრწყინებს და ესეც ერთ-ერთი ასეთი იშვიათი თამაში იყო. ამჯერად მან „ინდიანას" ღონიერი „მილუოკი" დაამარცხებინა, რომელმაც ბოლო ექვს მატჩში პირველად წააგო.

თებერვლის ბოლო დღე ნაკლებად იღბლიანი გ... ...გა ჩემპიონ „ლეიკერსისთვის". წინა სეზონის ტრიუმფატორი საშუალო „დენვერს" სტუმრობდა და ცხადია, გამარჯვებას გეგმავდა, მით უმეტეს, რომ გუნდის პირველმა მექულემ, კობი ბრაიანტმა ნატკენი ქუსლი მოირჩინა და მოედანს დაუბრუნდა. კობი თავისებურად გაირჯება და რაღა გაგვიჭირდებაო, ფიქრობდნენ ლოსანჯელესელები. ბრაიანტი მართლაც ჩვეულად დატრიალდა, ბლომად ქულა-მოხსნა-პასები მოიხვეჭა, თუმც გამარჯვებისთვის მისი რიგიანი თამაში სულაც არ კმაროდა. „დენვერს" საკუთარ კედლებში ყოჩაღად მობურთალი გუნდის სახელი დაუგდია და მანამდეც ბევრი ბობოლა გაუმწარებია, 28 თებერვალს კი „ლეიკერსის" ჯერი იყო. ჩემპიონებს მათმა ყოფილმა მოთამაშემ, ნიკ ვან ექსელმა ჩასცა ლახვარი, რომელსაც თავისი კარიერის პირველი ხუთი სეზონი „ლეიკერსის" მაისურაში გაუტარებია. მან შეხვედრის ბოლო 38 წამში 11 ქულა (!) ჩაუგდო ყოფილ გუნდს. საფინალო სირენამდე 38 წამით ადრე შორი მანძილიდან იყოჩალა და „დენვერი" 99:96 დააწინაურა. დარჩენილ დროში ვან ექსელს თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია. უბრალოდ, სროლას ვერ ასწრებდა, მასზე ბურთის მიღებისთანავე ჯარიმდებოდნენ. დარჩენილ დროში იგი ოთხჯერ დადგა საჯარიმოს ხაზთან და რვა საჯარიმო ისე ჩააგდო, ხელი არ აჰკანკალებია.

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი „ფილადელფია სიქსერზი" „მაიამის" მასპინძლობდა და უცილობლად წააგებდა, ახალწვეულ დიკემბე მუტომბოს რომ არ ევაჟკაცა. „სიქსერზის" ლიდერი ალენ აივერსონი იმ დღეს თამაშის იშტაზე ვერ იყო. მართალია, შეხვედრა 27 ქულით დაასრულა, რაც თავისთავად ურიგო შედეგი არ გახლავთ, მაგრამ თამაშში 27 ნასროლიდან 21 ააცილა. საცოდავად ისროდნენ სხვებიც. „ფილადელფია" ნასროლის მხოლოდ ერთ მესამედს თუ აგდებდა, რაც ფაქტობრივად დამარცხებას ნიშნავს. თანაგუნდელთა გაფუჭებული საქმის გამოსწორება მუტომბომ ითავა, „მაიამის" მაღლებს — ბრაიან გრანტსა და ენტონი მეისონს მხოლოდ ცხრა ქულა ჩააგდებინა, რამაც მთლიანად მათი გუნდის შედეგიანობაზე იმოქმედა.

საშუალოზე საშუალო „დეტროიტი" „მინესოტას" სტუმრობდა. „დეტროიტში" კი თამაშობს ჯო სმიტი, რომელიც სეზონის წინ „მინესოტასთან" უკანონო კონტრაქტის გაფორმებაში ამხილეს და სწორედ ამის გამო გადაბარგდა სხვაგან. ახლა მინეაპოლისში დაბრუნებულ სმიტს ყველა გულთბილად შეხვდა, რამაც კალათბურთელი, ცხადია, ასიამოვნა, მაგრამ თამაშისთვის არასათანადოდ განაწყო და შედეგიც სახეზეა: სმიტმა მატჩი რვა ქულით დაასრულა და დაეჩაგვრინა თავის ძმაკაცს, კევინ გარნეტს, რომელმაც სეზონში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ გარნეტმა პირველიც სმიტის წინააღმდეგ თამაშისას, დეტროიტში სტუმრობისას გაახერხა.

წინა კვირის საუკეთესო მოთამაშის, შონ მარიონის ტრავმამ გვარიანად დააქვეითა „ფინიქს სანზის" პოტენციალი. „ფინიქსი" სტუმარ „ორლანდოს" ვერ მოერია და ბოლო ხუთ შეხვედრაში პირველად დამარცხდა. მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი ბერძენი ახალბედა, სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი იაკოვოს ცაკალიდისი გახლდათ, რომელმაც 17 ქულა მოინაგრა და სეზონის და კარიერის რეკორდი დაიძყარა.

**ირაკლი ფირცხვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

1 მარტი. ბათუმი

**ბასკო 100:83 თსუ**

**ბასკო:** მ. მარკოიშვილი (12), როჯერსი (6), ნიკოლაძე (11), კილაძე (8), ბეჟანიშვილი (2), საყვარელიძე (4), აბრამიძე (3), კეშელავა (7), გ. ნაცვლიშვილი (17), ვ. ნაცვლიშვილი (12), ქარაბაკი (7), ორმოცაძე (11)

**თსუ:** დ. ბერიშვილი (9), არსიაშვილი (2), მაისურაძე (10), ზანგურაშვილი (6), მაჭარაძე (2), გ. მარკოიშვილი (29), ი. ბერიშვილი (15), სანიკიძე (10)

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 20 | 20 | 0 | 2005:1471 | 40 |
| აზოტი | 18 | 14 | 4 | 1497:1285 | 32 |
| სტუ-ჯეოსელი | 18 | 13 | 5 | 1683:1540 | 31 |
| მაკაბი | 18 | 10 | 8 | 1579:1490 | 28 |
| თსუ | 19 | 7 | 12 | 1608:1731 | 26 |
| შევარდენი | 19 | 7 | 12 | 1456:1533 | 25 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

## კორაჩის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 28 თებერვალი

**მაკაბი (ისრაელი) 73:74 უნიკახა (ესპანეთი)**

**მაკაბი:** გორდონი, ჰაინსი (17), ლუისი (14), ლუბინი (8), ნაორი, პოპოვიჩი (12), სპენსერი (10), იაცკანი (12)

**უნიკახა:** აბრამსი (12), ხურადო (10), ქომინი (2), მილერი (3), მრშიჩი (15), პეტრუშკა (6), როდრიგესი (11), სონკო, ვასკესი (5), ვეისი (10)

**ტრიესტი (იტალია) 86:74 ატლონი (ბელგია)**

**ტრიესტი:** ბაზარევიჩი (19), კალაბრია (23), კაზოლი (2), გუროვიჩი (9), ლაეცა, პოდესტა (15), რეცანო (6), შოუ (12)

**ატლონი:** ბაერტი (6), ბიერეგაარდი, დევისი (15), დიუპონი (10), გუდვინსონი (8), ჰიუგერი (9), ჰიუგინსი (15), მალბეკი (3), ვან დერ სლუისი (8), ვან ჰოკე

**რიკო (ჰოლანდია) 93:73 ფენერბაჩე (თურქეთი)**

**რიკო:** ბენეში (16), ბოლდევაინი (2), ჰარისი (18), ლივერსტი (6), მაკგატრი (23), მიკალაიუნასი (6), როუჰორსტი (2), სპინქსი (14), ფრედსი (6)

**ფენერბაჩე:** აბი (4), აფაიდინი (2), ბერდი (14), ენდენი (5), ევლიაოღლუ (2), ქუჩე (4), ლუკოვსკი (9), მილზი (17), ფარსი (14), თექინალფი (2)

**პროკომი (პოლონეთი) 59:64 ჰემოფარმი (იუგოსლავია)**

**პროკომი:** ბიგუსი (12), ბლუმჩინსკი (2), დარნიკოვსკი (1), გილევიჩი (6), ლევანდოვსკი, მასკოლიუნასი (19), მილიჩიჩი (2), ი. ვრანკოვიჩი (9), ვილჩეკი (8)

**ჰემოფარმი:** ჯოგო (13), ივანოვიჩი (10), პეკოვიჩი (20), სავიჩი (7), სტეფანოვიჩი, ვიდაჩიჩი (2), ვუჩინიჩი, ცეჩევიჩი (12)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 7 მარტს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამანდრა

## ჰოლიფილდი რუისს შთამბეჭდავად გალახავს

**შაბათ** საღამოს, ლას ვეგასში, ბებერი ევანდერ ჰოლიფილდი ჯონ რუისს ეჩხუბება. რუისს მეტსახელად „მშვიდი კაცი“ ჰქვია, ბებერმა კი კარგად იცის, რომ რაც შეიძლება შთამბეჭდავად უნდა გალახოს „მშვიდი“. ეს აუცილებელია, რათა ჰოლიფილდს საკრივო სამყარომ კვლავ გაუწიოს ანგარიში.

ჰოლიფილდის კარიერა ასეთია: 37 გამარჯვება (25 ნოკაუტით), 4 ფრე და 1 დამარცხება, ხოლო მის გარშემო შექმნილი ფსიქოლოგიური კლიმატი ერთობ არასასურველი გახლავთ: გასულ აგვისტოს იმავ რუისთან 12-რაუნდიან ბრძოლაში გამარჯვება ქულებით არგუნეს და მას მერე ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ ამაზე. აი, რას ამბობენ: ოდესღაც დაუმარცხებელი მთა კაცი გვარიანად დაიტანჯა იმ მეტოქესთან ბრძოლაში, რომელმაც, თავის მხრივ, WBC-სა და IBF-ის ვერსიით ტიტულის მთავარ კანდიდატთან, დავიდ ტუასთან ერთი წუთიც ვერ გაძლოო.

არადა, ატლანტის შვილი რომ გულადია და მხოლოდ გამარჯვებას ეშურება, ყველამ ყოველთვის კარგად იცოდა. მაშ რა ხდება? ნუთუ ასაკმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონიც მოტეხა?

„ჰოლიფილდის და რუისის ბრძოლა რომ დაიწყება, ტელევიზორს ერთი წამითაც ნუ მოწყდებით, გვერდით ოთახში საჭმლის ან სასმელის ასაღებად ნუ გახვალთ, რადგან აუცილებლად გამოგრჩებათ როგორ დაანარცხებს ბებერი ევანდერი მაგ „მშვიდ კაც“ ჯონ რუისს“ — ასე ილაპარაკა რემატჩზე უცნობილესმა და უგაქნილესმა პრომოუტერმა დონ კინგმა.

ცნობისათვის, რუისის პროფესიული კარიერა 36 გამარჯვებას (27 ნოკაუტით) და 4 მარცხს მოიცავს.

დავუბრუნდეთ ჰოლიფილდს: თავგადახოტრილი მეომარი მძიმე წონის ორომტრიალში 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. რუისთან პირველი ბრძოლის დროს, დღეს 38 წლის ბებერი, თავიდან ბრძენთა ბრძენად გამოჩნდა, მაგრამ თანდათანობით ახალგაზრდა მეტოქის სიმკვირცხლემ მოლალა და მართალია მსაჯთა გადაწყვეტილებით ჰოლიფილდმა გაიმარჯვა, ბევრის აზრით ეს ბრძოლა მისი რექვიემი გახლდათ.

მაგრამ, არის მეორე მხარეც: ბევრჯერ ყოფილა, ჰოლიფილდის დრო წასული ჰგონებიათ, მაგრამ მერე საკუთარი სიტყვები უნანიათ. ბებერი ევანდერი დროს არ ემორჩილება — არის ასეთი მოსაზრებაც. და კიდევ: ბებერ ევანდერს ზედიზედ ორჯერ კითხვის ნიშნები არასდროს დაუტოვებია. ნამდვილი სალამანდრაა, არ იწვება.

დიახ, რემატჩი ჰოლიფილდის სტიქიაა. გავიხსენოთ რიდიკ ბოუს, მაიკლ მურერის და ლენოქს ლუისის ამბები. ვის დაავიწყდება როგორ უთავაზა რიდიკ ბოუს ან როგორ მიანარცხა მაიკლ მურერი ბოგირზე? მურერი ისე ტყორცნა, კაცს კალათბურთი გეგონებოდაო, წერდნენ საკრივო მწერლები.

ნუ გაგიკვირდებათ ბოუსა და მურერის კამპანიაში ლენოქს ლუისიც რომ ვახსენეთ. დიახ, რემატჩი ჰოლიფილდმა კი არა, ლუისმა მოიგო, მაგრამ გაოცებული დარჩა იმ შეუპოვრობითა და ოსტატობით, ბებერმა რომ დაუპირისპირა. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც თანაბარ პირობებში მსაჯებმა გამარჯვება ჰოლიფილდის მოწინააღმდეგეს მიაკუთვნეს.

დღეს ასე ფიქრობენ: ჰოლიფილდი რუისთან იჩხუბებს და სარბიელიდან წავა. წავა კი? ასევე ჩანდა ბოუსთან ბრძოლის შემდეგაც, მაგრამ ბებერი ატლანტელი ლეგენდარული კაცია.

და დღეს, ლეგენდარულმა კაცმა იცის, რომ ჯონ რუისი შთამბეჭდავად უნდა გალახოს. ეს მაიკ ტაისონთან ჩხუბისკენ გაუხსნის გზას, მაგრამ ტაისონთან ბრძოლა რომც არ შედგეს, ხვალინდელი ტრიუმფი ისტორიაში მის კიდევ უფრო ბრწყინვალედ დარჩენას სჭირდება.

**ტუტა სიხარულიძე**




REUTERS

დონ კინგმა ევანდერ ჰოლიფილდი (მარცხნივ) და ჯონ რუისი საზოგადოებას წარუდგინა

---

### ჭადრაკი

#### ლინარესის სუპერტურნირი

## ერთი თავში, ერთი ბოლოში

**დაიძოძნენ** ლინარესში მოჭადრაკეები. პირველი სამი ტურის ცხრავე ყაიმის შემდგომ მეოთხეში ორი პარტია იყო მომგებიანი და მეხუთეშიც — ამდენივე. ტურნირის ეკვატორთან გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის ისტორიული ქიშპის მომდევნო ეპიზოდი ჩანდა ყველაზე საყურადღებო. მე-13 ჩემპიონს თეთრები ჰყავდა და რახან მისი სადღეისო ძალა აშკარად მეთორმეტისაზე ალმატებულია (კარპოვი სულ უფრო სუსტად თამაშობს), ფავორიტად იგი ითვლებოდა. პარტია დიდებული გამოდგა. ვეტერანმა ექსჩემპიონმა შავებით კარო-კანის დაცვა გაითამაშა, რაზეც კასპაროვმა ღია მანევრებით მიუგო და მე-16 სვლისთვის მისი ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა. თეთრები უტევდნენ მეფის ფრთის განაპირას, სადაც H ვერტიკალზე გაორებული მათი პაიკები ეტლისა და კუს დახმარებით საშიშნი ჩანდნენ. ცალკე ლაზიერის ფრთაზე მხედარი აქტიურობდა, ხოლო ლაზიერი ცენტრალურ ვერტიკალზე გამაგრებულიყო და ორივე მხარეს აკონტროლებდა. კასპაროვმა გააძლიერა თამაში, მე-19 სვლაზე გრძელი როქი გააკეთა და იერიშში ეტლიც ჩართო. მისი მხედარი შავების ბანაკში ღრმად შეჯირითდა, ორი კუ ძლიერ ხელსაყრელი ადგილიდან აფეთქებით იმუქრებოდა, ლაზიერიც კვლავ სრულად აკონტროლებდა სიტუაციას და შავმა მეფემ სულისხუთვა იგრძნო. კარპოვმა ყულფის მოსაშვებად ლაზიერი სამ მსუბუქ ფიგურაში გასწირა, რის შემდეგაც კასპაროვი დაფაზე უკვე მატერიალურად გაბატონდა, ეშმაკი ვეტერანის დაგებული ორიოდე ხაფანგი აირიდა და 31-ე სვლაზე პარტიას წერტილი დაუსვა. გამარჯვება სრული იყო. კასპაროვი ერთპიროვნული ლიდერი გახდა, რადგან იუდით პოლგარი შავებით პიტერ ლეკოს ეთამაშებოდა, ხოლო ლეკოსთან (იგივე „კაცი-კომპიუტერი“) თეთრებითაც ძნელია ფრთის გაშლა, არამცთუ შავებით. უნგრული დერბის მოსალოდნელი შედეგი ყაიმი იყო და პარტია ასეც მორჩა. ლეკოს დიდად არ გამოუდვია თავი და თეთრი ფერის გამოყენება არ უცდია. პირიქით, ერთ მომენტში პოლგარის პოზიცია უფრო რიგიანი ჩანდა. ყაიმი მაშინ გაფორმდა, როცა, ექსპერიმენტების აზრით, კიდევ ერთი-ორი გაბრძოლება არ იქნებოდა ზედმეტი.

ალექსეი შიროვმა კი მეოთხე ტურში მანდილოსანთან მარცხის წყენა ყმაწვილთან გაიქარვა. სიცილიური დაცვის თეორიული ნაწილის ამოწურვისთანავე ალექსანდრ გრიშჩუკი უზუსტოდ ათამაშდა (რაც უჩვენებს, რომ მან დებიუტებში კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს), ხოლო შიროვი ძალუმად ეძგერა შავი მეფის ბანაკს და შამათის ყველა წინაპირობა შექმნა. 32-ე სვლაზე ბრძოლა დამთავრდა. გრიშჩუკი ერთპიროვნული აუტსაიდერი გახდა.

**დავით გულუა**

> **სატურნირო ვითარება 5 ტურის შემდეგ**
>
> 1. კასპაროვი 3,5 ქ; 2. იუდით პოლგარი 3; 3-4. შიროვი, ლეკო 2,5; 5. კარპოვი 2; 6. გრიშჩუკი 1,5

---

# პრივალოსანი



მაიკ ტაისონი კეტში?

**აი, სეირი!** მაიკ ტაისონის ირგვლივ ახალი ამბავი ატყდა: მოკრივის მრჩეველს, შელი ფინკელს იმ ხმების უარყოფა მოუხდა, რომელთა თანახმად „რკინის მაიკი“ იაპონიაში გამგზავრებასა და კეტჩში ღლაბუცს აპირებს. თავის მხრივ იაპონური კეტჩის პატრიარქი, თავის დროზე ჩვენებური შოთა ჩოჩიშვილისგან ნაგვემი ანტონიო ინოკი თანამოქალაქეებს ამშვიდებს, თქვენ გულს ნურაფერზე გაიტეხთ, ტაისონი ივნისში აქ, ტოკიოს „ეგ დოუმში“ იქნებაო.

ფინკელმა ხმა მას მერე ამოიღო, რაც გიჟურმა ჭორმა (თუ მართალმა?) მთელი საკრივო ამერიკა შეძრა. იმასაც კი ამბობდნენ, ტაისონი ეგრეთწოდებულ „შუთ მატჩში“ (კენ შერმოკისა და მარკ მოულმენის ტიპის მებრძოლთა შოუ) გამოვაო. მრჩეველი იძულებული შეიქნა განეცხადებინა: „მაიკი რომ იაპონიაში არ წავა, ლაპარაკი არ სჭირდება. მეტიც, იქაურებთან საერთოდ არც გვილაპარაკია“.

ახლა, იმის შესახებ თუ რას ამბობენ საკრივო წრეებში ანტონიო ინოკიზე, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ის კაცია, თავის დროზე შერეულ წესებით მუჰამედ ალის ფრედ რომ ეჩხუბა. ამბობენ, რომ ინოკი საკუთარი თავის პრომოუტერია და თან ასეთთა შორის ყველაზე უსირცხვილო. მას განუცხადებია, ტაისონის ვექილთან მაიკლ სმიტთან კონტრაქტი გავაფორმე და ეს ამბავი თებერვლის დასაწყისში თანამედროვე იაპონური კეტჩის ფედერაციის პრესკონფერენციაზე მოხდაო.

ამაზე ფინკელმა განაცხადა, ეს კიდევ უფრო დიდი სისულელეა, რადგან სმიტი ტაისონის ვექილი არ არისო:

„ტაისონს სულ სხვა გეგმები აქვს. კერძოდ, ჩვენ ჰოლიფილდ-რუისის ბრძოლაში გამარჯვებულს ველით, რათა რინგზე გამოვიწვიოთ. თუ ეს ვარიანტი არ გამოვიდა მაშინ ჰაიკი დევიდ აიზონს შეხვდება, რაც მაისის დასაწყისშია მოსალოდნელი.“

**ქვემძიმე**, წონაში WBO-ს ჩემპიონი დარიუშ მიხალჩევსკი აცხადებს, რომ მზადაა ამერიკაში ჩასასვლელად და როი ჯონსთან საჩხუბრად.

„სულ იმას არ ვამბობ, რომ ამერიკაში ჩასვლა მინდა?“ — თქვა მიხალჩევსკიმ — „მხოლოდ ერთი პირობა მაქვს, ანდერქარდში არ გამოვალ, რადგან დიდი ჩემპიონი გახლავართ და არ მეკადრება. მე უმთავრესი ბრძოლები უნდა მოვაწყო. თუ ჯონსი ჩემთან ჩხუბს ამერიკის გარეთ ვერ ბედავს, პრობლემა არ არის, მე ჩამოვალ. სად გავლახავ, რა მნიშვნელობა აქვს?! ვიმეორებ, როცა უნდა მაშინ ვეწვევი. ერთადერთი, 5 მაისს არ მაწყობს, რადგან ჩემი დაბადების დღეა და თან პოლონეთში ბრძოლა მაქვს. ამის შემდეგ WBO-ს ტიტულის ერთი სავალდებულო დაცვა მელის და მერე მზად ვარ.“

**ლენოქს ლუისსა** და მაიკ ტაისონს შორის მოსალოდნელი ბრძოლა დიდი ვნებათაღელვისა და პირობების შეთანხმება-ვერშეთანხმების საბაბად იქცა. მაგალითად, ორი-სამი დღის წინ ტაისონმა ლუისს შეუთვალა, მოდი, ახლავე გეჩხუბებიო.

საქმე კი ის გახლავთ, რომ ამწუთას ლუისი უფრო დაკავებულია და განრიგსაც უფრო მეტად უწევს ანგარიშს. ამაში არაბუნებრივი არაფერია და ამიტომაცაა მისგან ასეთი პასუხი რომ გაისმა: „მალე, მაიკ, მალე გეჩხუბები“.

ტაისონის ბანაკში ეს რომ გაიგეს, მისი მრჩეველი, შელი ფინკლი გახარებული გამოვიდა საზოგადოებრიობის წინაშე და განაცხადა: „აი, ხომ ხედავთ, ლუისი ჩვენთან ბრძოლას თავს არიდებს“.

**მძიმე** წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, რიდიკ ბოუ შესაძლოა 18 თვით ციხეში ჩასვან. მიზეზი ადრეც მოგახსენეთ — ცოლს ეჩხუბა.

უფრო ზუსტად ასე იყო: ბოუ პოლიციელებმა 8 თებერვალს დააპატიმრეს, როდესაც ლონგ აილენდზე მდებარე საკუთარ სახლში საკუთარი მეუღლე დაჟეჟა. 33 წლის ბოუ ჩრდილოეთ კაროლინას ქალაქ შარლოტის ციხეში ზის და დღეს სასამართლოს ელის. ჯერ იმ ამბავს გაუხსენებენ, 1998 წელს პირველი ცოლი და ხუთი შვილი მათი სახლიდან რომ გაიტაცა და სადღაც მიაქანებდა.

**ზე-საშუალო** წონაში WBC-ს დაუმარცხებელი ჩემპიონი ხუან გომესი გასულ კვირას გერმანიიდან მაიამიში არასწორად გაფორმებული დოკუმენტებით ჩასულა — აშშ-ის საემიგრაციო სამსახურს კუბელად მიუჩნევია. ამერიკაში კი ასეთი წესია: ნებისმიერი კუბელი, რომელიც ფიდელ კასტროს რეჟიმს გაეპარება, უპრობლემოდ რჩება ამ ქვეყანაში და მუშაობის უფლებაც ციმციმ ეძლევა. ცხადია იგივე წესი გავრცელდება 27 წლის მოკრივეზეც, რომელსაც პროფესიულ რინგზე 32 ბრძოლა აქვს გამართული და ყველა მოიგო.

ახლა გამოდის, რომ თუ გომესი აშშ-ის ტერიტორიაზე ერთ წელიწადს დარჩება, მოქალაქეობასაც მიიღებს. ამასთან დაკავშირებით, გერმანულმა საკრივო კომპანიამ, „უნივერსუმმა“, რომელიც გომესს კუბიდან წასვლის შემდეგ პატრონობდა და მოკრივედ ზრდიდა, განაცხადა, რომ მისი კლიენტი მაიამის გერმანული გადასახადებისგან დასამალავად ეწვია.

გომესი პროფესიულ რინგზე 1995 წელს ავიდა. მანამდე სამოყვარულო დონეზე 160 ბრძოლიდან 158 ჰქონდა მოგებული. „შავ პანტერად“ ცნობილმა WBC-ს ტიტული 1998 წელს მოიგო - მარსელო დომინგესი დაამარცხა და მას მერე ცხრა პრეტენდენტს გასცა ღირსეული პასუხი.

გერმანიიდან გაქცევის წინ გომესს, 24 მარტისთვის, მძიმე წონაში დებიუტს უმზადებდნენ. მას ვეტერან ჯიმი თუნდერთან უნდა ეჩხუბა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.15 | 001 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 18.30 | 002 | ჰანზა-ბაიერნი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.30 | 006 | უნტერჰახინგი-ბოხუმი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.15 | 007 | კიოლნი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენ 1860-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 009 | შალკე-ჰამბურგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 22.00 | 010 | ულმი-ოსნაბრიუკი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 22.00 | 011 | ობერჰაუზენი-ზაარბრიუკენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 18.00 | 012 | ნიურნბერგი-არმინია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 013 | ნიურნბერგი-არმინია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 014 | მაინცი-ქემნიცი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 18.00 | 015 | ალემანია-ფიურტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 016 | ალენი-დუისბურგი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-კიკერსი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 018 | როიტლინგენი-ჰანოვერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **5 მარტი** | | | |
| 23.15 | 019 | ზანქტ პაული-მიონხენგლადბახი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 29-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 15.30 | 020 | ლიდსი-მანჩესტერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 021 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 022 | არსენალი-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 023 | ქოვენთრი-ჩელსი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 024 | დერბი-ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 025 | ევერტონი-ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 026 | ლესტერი-ლივერპული | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 027 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 20.00 | 029 | იფსვიჩი-ბრედფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 030 | იფსვიჩი-ბრედფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **5 მარტი** | | | |
| 24.00 | 031 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 35-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.45 | 032 | ბირმინგემი-უოტფორდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 19.00 | 033 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 034 | ქრიუ-ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 035 | კრისტალ პალასი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 036 | გრიმსბი-ბარნსლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 037 | ჰადერსფილდი-ნორვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 038 | პორტსმუთი-ბარნლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 039 | ქუინზ პარკი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | უენსდი-ჯილინგემი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 041 | სტოკპორტი-უიმბლდონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 042 | ვულვერჰემპტონი-ნოტინგემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 17.00 | 043 | ფულემი-ბოლტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 35-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.30 | 044 | რექსემი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 19.00 | 045 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 19.00 | 046 | ბრისტოლი-ოქსფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 047 | ბრისტოლი-ოქსფორდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 048 | ბერი-სუონსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 049 | კემბრიჯი-ოლდემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 050 | ლუტონი-როვერსი | 1,95 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 051 | მილუოლი-პიტერბრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 052 | მილუოლი-პიტერბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 053 | ნოტსი-უოლსოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 054 | რედინგი-როტერჰემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 055 | სტოკი-კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 056 | უიგანი-სუინდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 057 | უიგანი-სუინდონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 058 | უიკომბი-პორტ ვეილი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 35-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.45 | 059 | კარდიფი-ჰალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 19.00 | 060 | ბარნეტი-პლიმუთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 061 | ბლეკპული-კიდერმინსტერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 062 | კარლაილი-დარლინგტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 063 | ჩელტენემი-ექსეტერი | 1,65 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 064 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 065 | მაკლსფილდი-ჩესტერფილდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 19.00 | 066 | მენსფილდი-ლინკოლნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 067 | შრიუსბერი-ჰალიფაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 068 | საუთენდი-როჩდეილი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 069 | ტორკი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 070 | იორკი-ჰარტლპული | 2,9 | 3,0 | 2,2 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 20.15 | 071 | ლიონი-ბორდო | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 072 | სტრასბური-გენგამი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 073 | სედანი-ლანსი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 074 | ლილი-მარსელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 075 | ოსერი-მონაკო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 076 | მეცი-სენტ ეტიენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 077 | პსჟ-ტულუზი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 078 | ბასტია-ტრუა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 23.45 | 079 | რენი-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.00 | 080 | სოშო-ლორიანი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 23.00 | 081 | შატორუ-ბოვე | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 082 | აიაჩო-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 083 | კანი-გენიონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 084 | მარტიგი-ლავალი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 085 | მონპელიე-ლე ავრი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 086 | ანჟე-ნანსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 087 | ნიორი-ნიცა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 23.00 | 088 | კაენი-ნიმი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 089 | ლე მანი-ვასკეალი | 1,8 | 2,7 | 4,4 |

### იტალია. სერია A. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 18.00 | 090 | რეჯინა-ბოლონია | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.30 | 091 | ბრეშა-ლაციო | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 18.00 | 092 | ვერონა-ატალანტა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 093 | ბარი-ფიორენტინა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 094 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 18.00 | 095 | ნაპოლი-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 096 | მილანი-პარმა | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 18.00 | 097 | პერუჯა-ვიჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.30 | 098 | რომა-ინტერი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

### იტალია. სერია B. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 23.45 | 099 | ემპოლი-სამპდორია | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 18.00 | 100 | ანკონა-კოზენცა | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 101 | კალიარი-პიაჩენცა | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 102 | კროტონე-ვენეცია | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 103 | ჯენოა-ტერნანა | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 104 | რავენა-პესკარა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 105 | სიენა-სალერნიტანა | 1,85 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 106 | ტორინო-მონცა | 1,3 | 3,5 | 9,0 |
| 18.00 | 107 | ტრევიზო-პისტოიეზე | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| | | **5 მარტი** | | | |
| 23.45 | 108 | ჩიტადელა-კიევო | 2,8 | 2,4 | 2,8 |

### იტალია. სერია C1/a. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 მარტი** | | | |
| 18.00 | 109 | ალბინოლეფე-ბრეშელო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 110 | ალესანდრია-ლეკო | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 111 | ალძანო-ჩეზენა | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 18.00 | 112 | კარარეზე-ლუმეცანე | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 113 | კომო-სპალ | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 114 | ლუკეზე-პიზა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 115 | ვარეზე-მოდენა | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 23.30 | 116 | ლივორნო-სპეცია | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| | | **5 მარტი** | | | |
| 23.30 | 117 | რეჯანა-არეცო | 2,7 | 2,6 | 2,7 |

### იტალია. სერია C1/b. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 მარტი** | | | |
| 17.30 | 118 | ფიდელის ანდრია-ტორესი | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 18.00 | 119 | აველინო-აკილა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 120 | ბენევენტო-პეზარო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 121 | დი სანგრო-ჯულიანოვა | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 122 | კატანია-პალერმო | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 123 | ფერმანა-ლოდიჯანი | 1,75 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 124 | მესინა-ასკოლი | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 125 | სავოია-ნოჩერინა | 1,6 | 2,6 | 7,0 |
| 18.00 | 126 | ვიტერბეზე-ატლეტიკო | 1,5 | 2,8 | 6,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 21.00 | 127 | მალიორკა-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.30 | 128 | სოსიედადი-რაიო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 129 | სარაგოსა-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 24.00 | 130 | რეალი-ბარსელონა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 20.00 | 131 | ესპანიოლი-ალავესი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 132 | სელტა-ოვიედო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 133 | ოსასუნა-ვალიადოლიდი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 134 | ნუმანსია-რასინგი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 135 | ლას პალმასი-ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 136 | ვილიარეალი-მალაგა | 1,65 | 3,0 | 5,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 21.00 | 137 | ბეტისი-კორდობა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 21.00 | 138 | კომპოსტელა-უნივერსიდადი | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 21.00 | 139 | ლევანტე-ეიბარი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 14.30 | 140 | ხეტაფე-მურსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 15.00 | 141 | ლეგანესი-ლეიდა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 15.00 | 142 | ხაენი-ტენერიფე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 15.00 | 143 | ალბასეტე-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 144 | ელჩე-ბადახოსი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 20.00 | 145 | ფეროლი-ატლეტიკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.00 | 146 | უელვა-ესტრემადურა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 20.00 | 147 | სპორტინგი-სალამანკა | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 23-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | |
| 01.00 | 148 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 1,45 | 3,1 | 7,0 |
| | | **3 მარტი** | | | |
| 22.00 | 149 | სალგეირუში-სპორტინგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **4 მარტი** | | | |
| 19.00 | 150 | ამადორა-ფერეირა | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 151 | ლეირია-კამპომაიორენსე | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 152 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 153 | ავეში-გიმარაეში | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.00 | 154 | ჟილ ვისენტე-ალვერკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 155 | ბრაგა-ბენფიკა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 01.00 | 156 | პორტუ-ფარენსე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 157 | პორტუ-ფარენსე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. 23-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 მარტი** | | | |
| 20.00 | 158 | აკადემიკა-ფრეამუნდე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 159 | აკადემიკა-ფრეამუნდე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 160 | ნავალი-ფელგეირაში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 161 | ლამაში-ვარზიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 162 | პენაფიელი-ლეცა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 163 | სეტუბალი-რიუ ავე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 164 | შავეში-სანტა კლარა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 20.00 | 165 | მაია-ნასიონალი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 166 | ესპინიუ-ოვარენსე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 167 | მარკუ-იმორტალი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. 23-ე ტური**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 168 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 169 | ვალვაიკი-ბრედა | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 170 | ტილბურგი-გრააფსხაპი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 171 | ტილბურგი-გრააფსხაპი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 172 | პსვ-როდა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 173 | პსვ-როდა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 174 | სპარტა-ტვენტე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 175 | უტრეხტი-სიტარდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 176 | უტრეხტი-სიტარდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 177 | ვიტესი-ფეიენოორდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 17.30 | 178 | ნაიმეგენი-ალკმაარი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.15 | 179 | როზენდალი-აიაქსი | 5,0 | 3,4 | 1,5 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. 23-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 180 | ვეენდამი-ჰელმონდი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 181 | დენ ჰააგი-ემენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 22.00 | 182 | დენ ბოსხი-იგლსი | 1,45 | 3,2 | 6,5 |
| 22.00 | 183 | ექსელსიორი-ვოლენდამი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.00 | 184 | ვენლო-დორდრეხტი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 185 | მაასტრიხტი-კამბური | 1,85 | 3,1 | 3,6 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 186 | ტელსტარი-ჰაარლემი | 1,35 | 3,5 | 7,0 |

**5 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 187 | ზვოლე-ჰერაკლესი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 188 | ეინდჰოვენი-ოსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

**ბელგია. I დივიზიონი. 24-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 189 | ლიერსი-ანდერლეხტი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 23.00 | 190 | მუსკრონი-ბევერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 191 | მუსკრონი-ბევერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 192 | გენტი-შარლერუა | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 193 | გენკი-ანტვერპენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 194 | ბეერსხოტი-მეხელენი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 195 | ბეერსხოტი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 196 | სტანდარდი-სენტ ტრუიდენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 197 | სტანდარდი-სენტ ტრუიდენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 198 | ლუვიე-აალსტი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 199 | ლოკერენი-ვესტერლო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 200 | ბრიუგე-ჰარელბეკე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 201 | ბრიუგე-ჰარელბეკე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ბელგია. II დივიზიონი. 26-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 202 | გეელი-სერკლი | 1,55 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 203 | დესელი-დაინცე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 204 | ჰეკელგემი-ლომელი | 5,3 | 3,3 | 1,5 |
| 23.00 | 205 | ოსტენდე-რუზელარე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 206 | დენდერლეუ-მონსი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 207 | ტინენი-ლიეჟი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 208 | სტრომბეკი-ინგელმუნსტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 209 | ტურნჰაუტი-მაასლანდი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 210 | მოლენბეკი-ჰეუსდენი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

**საბერძნეთი. 21-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 211 | ირაკლისი-არისი | 1,75 | 3,0 | 4,2 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 212 | იანინა-ეთნიკოსი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 213 | პაოკ-პანილიაკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 214 | პაოკ-პანილიაკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 215 | კალამატა-იონიკოსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 216 | ქსანთი-ოფი | 1,4 | 3,4 | 6,0 |
| 18.00 | 217 | პანიონიოსი-ათინაიკოსი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 218 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**5 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 219 | პანაჰაიკი-აეკ | 4,4 | 3,0 | 1,75 |

**ჩეხეთი. მე-19 ტური**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 220 | ლიბერეცი-სლავია | 2,7 | 3,0 | 2,3 |

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 221 | ტეპლიცე-ჟიჟკოვი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 222 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 223 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 17.00 | 224 | ბოჰემიანსი-დრნოვიცე | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 17.00 | 225 | პლზენი-სინოტი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.30 | 226 | სიგმა-ბრნო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 227 | სიგმა-ბრნო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**5 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 228 | სპარტა-იაბლონეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 229 | სპარტა-იაბლონეცი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**თურქეთი. 23-ე ტური**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 230 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 231 | ანთალია-ადანა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 232 | იეთფა-გაზიანთეფი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 16.00 | 233 | იოზგათი-ფენერბაჩე | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 21.00 | 234 | სამსუნი-ბურსა | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 235 | რიზე-დენიზლი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 16.00 | 236 | ქოჯაელი-ერზურუმი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 237 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 238 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**შოტლანდია. 30-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 239 | დანდი იუნაიტედი-სენტ მირენი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 240 | კილმარნოკი-აბერდინი | 1,65 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 241 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 242 | რეინჯერსი-ჰართსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 243 | სენტ ჯონსტონი-დანდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.35 | 244 | დანფერმლაინი-სელტიკი | 5,6 | 3,2 | 1,5 |
| 22.05 | 245 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

**ავსტრია. 23-ე ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 246 | ლინცერი-გრაცერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 247 | ზალცბურგი-ადმირა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 248 | ზალცბურგი-ადმირა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 249 | შტურმი-რიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 250 | შტურმი-რიდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 251 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 252 | ტიროლი-ბრეგენცი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 253 | აუსტრია-რაპიდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 254 | სენტ გალენი-ლუგანო | 1,85 | 2,9 | 4,2 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 255 | სიონი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 256 | ციურიხი-სერვეტი | 1,95 | 3,0 | 3,6 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-2 ტური**

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 257 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 258 | იანგ ბოისი-აარაუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.30 | 259 | ივერდონი-ვინტერთური | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური**

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 260 | ბადენი-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 261 | სოლოთურნი-ლოკარნო | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 17.30 | 262 | ვანგენი-თუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 263 | კარუჟი-კრიენსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**კოპა ლიბერტადორესი**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 264 | ორიენტე-დეპორტივო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**კალათბურთი**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ინდიანა-სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.00 | 802 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.30 | 803 | ატლანტა-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 04.30 | 804 | ბოსტონი-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 805 | ორლანდო-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 806 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 807 | დეტროიტი-მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 808 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 06.00 | 809 | დენვერი-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.30 | 810 | კლიპერსი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 811 | ვანკუვერი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 812 | დალასი-ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 813 | მილუოკი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 815 | ფინიქსი-დენვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 816 | პორტლენდი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 817 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 818 | დეტროიტი-ორლანდო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 24.00 | 819 | ბოსტონი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 820 | ინდიანა-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 821 | ვაშინგტონი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 00.30 | 822 | მინესოტა-სიეტლი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 823 | კლივლენდი-მაიამი | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 06.30 | 824 | ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**5 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 825 | ატლანტა-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 826 | მაიამი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 827 | ნიუ ჯერსი-მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 828 | ორლანდო-დალასი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 829 | ვანკუვერი-სან ანტონიო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 07.30 | 830 | კლიპერსი-დენვერი | 2,0 | 4,0 | 1,5 |

**ჰოკეი**

**2 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 901 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 902 | ფლორიდა-ატლანტა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 903 | რეინჯერსი-პიტსბურგი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 904 | ედმონტონი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 06.00 | 905 | ფინიქსი-დეტროიტი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 07.00 | 906 | ვანკუვერი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 907 | ანაჰაიმი-დალასი | 2,6 | 4,0 | 1,75 |

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 908 | ბოსტონი-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 909 | კოლორადო-ბუფალო | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 910 | ტორონტო-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 911 | მონრეალი-ფილადელფია | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.00 | 912 | აილენდერსი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 913 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 914 | ატლანტა-ფლორიდა | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.00 | 915 | კალგარი-სენტ ლუისი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 07.00 | 916 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2,3 | 4,0 | 1,9 |

**4 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 917 | ჩიკაგო-კაროლინა | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 918 | დალასი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 919 | ნეშვილი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 02.00 | 920 | ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 05.00 | 921 | ფინიქსი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 922 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 07.00 | 923 | ვანკუვერი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**5 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 924 | რეინჯერსი-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 925 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**რაგბი. ექვსი ერის თასი. მე-3 ტური**

**3 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 701 | იტალია-საფრანგეთი | 7,5 | 15,0 | 1,05 |
| 18.30 | 702 | ინგლისი-შოტლანდია | 1,05 | 15,0 | 7,5 |

**ფეხბურთის "I ტაიმი/ძირითადი დრო" კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესორს — შუმის ნახმარი

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულის „პროფესორი“ ალენ პროსტი ახალ სეზონს შარშანდელზე გაცილებით იმედიანად ხვდება. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ოპტიმიზმის საფუძველს მის გუნდში მომხდარი საკადრო-ტექნიკური ცვლილებები აძლევს. „პეჟოს“ უხეირო ძრავას „პროსტისთვის“ წინა ჩემპიონატში წვალების გარდა არაფერი მოუტანია — ჟან ალეზიმ და ნიკ ჰაიდფელდმა 17 რბოლაში მხოლოდ ხუთ-ხუთჯერ მიაღწიეს ფინიშამდე, თუნდაც ერთი ქულის შოვნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შედეგად, სადღეისოდ ერთადერთი ფრანგული საჯინიბო სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა და სრული კრახის თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომების მიღება გახდა აუცილებელი.

ათიოდე წლის წინ, იმხანად სამგზის ჩემპიონი პროსტი „ფერარიდან“ სამარცხვინოდ გაუშვეს არა სპორტული მაჩვენებლების გაუარესების, არამედ თავისი სუსტი, ჯაგლაგი ბედაურის კრიტიკის გამო. „სკუდერიის“ მაშინდელი მანქანები მან სატვირთოებს შეადარა. ძველი წყენა დღეს, ცხადია, აღარავის ახსოვს და „პროფესორსაც“ დახმარების ხელი სწორედ „ფერარიმ“ გაუწოდა — მის ბოლიდებს მარანელოში დამზადებული ძრავები ექნება, ოღონდ, ბუნებრივია, არა უახლესი მოდელი, არამედ შარშანდელი ვარიანტი, რომლითაც მიხაელ შუმახერმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„სკუდერიისთვის“ უკვე მოძველებული ეს „გული“ პროსტისთვის ზღაპრული შენაძენია: „შარშან „პეჟოს“ ძრავამ უსაშველოდ დაგვტანჯა. „ფერარი“ კი ბევრად მძლავრია და საიმედო. დარწმუნებული ვარ, წლეულს რამდენიმე ქულის მოპოვებას შევძლებთ, ჩვენთვის სასურველ დონეს კი 2002 წელს მივაღწევთ“ — აცხადებს გუნებაგამოკეთებული შეფი.

პროსტელებს იანვარ-თებერვლის ტესტებზე სერიოზული ტექნიკური პრობლემები არ გასჩენიათ. ალეზიმ ბარსელონაში ერთ-ერთ ვარჯიშზე იქაური ავტოდრომის სიჩქარის რეკორდიც კი დაამყარა.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, გუნდის აღმასრულებელი დირექტორი ხუან ვილადელპრატი გახდა. 45 წლის ესპანელი ფორმულის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ სპეციალისტად ითვლება. 1987-89 წლებში იყო „ფერარის“ მთავარი მექანიკოსი, შემდეგ მუშაობდა „მაკლარენსა“ და „ბენეტონში“, უშუალო კავშირი აქვს შუმახერის ორგზის გაჩემპიონებასთან. ტექნიკური დირექტორის პოსტი პროსტმა თანამემამულეს ჩააბარა — 40 წლის ანრი დურანი, „მაკლარენის“ ყოფილი ინჟინერ-აეროდინამიკოსი, ადრე „ფერარისთანაც“ თანამშრომლობდა. წამყვან გუნდებში შეძენილი გამოცდილება მათ უდავოდ დაეხმარება „პროსტის“ ჭაობიდან ამოთრევაში.




„პროსტი“ „ფერარის“ ძრავით იმოძრავებს

## პროსტი

გუნდი დაარსდა 1969 წელს (1997 წლამდე — „ლიჟიე“)
**პრეზიდენტი:** ალენ პროსტი
**აღმასრულებელი დირექტორი:** ხუან ვილადელპრატი
**ბოლიდი — 2001:** „პროსტი AP04“
**ძრავა:** „ფერარი — 049“
**საბურავები:** „მიშელინი“
„პროსტის“ სახელით ასპარეზობს 1997 წლიდან
66 რბოლა; 31 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — VI (1997)
ტესტ-პილოტი სტეფან სარაზენი (საფრანგეთი)







**ჟან ალეზი**
**საფრანგეთი**

დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს ავინიონში. ცხოვრობს ჟენევაში
სიმაღლე 170 სმ, წონა 74 კგ
ცოლშვილიანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: საფრანგეთის დიდი პრიზი (1989)
პირველი გამარჯვება: კანადის დიდი პრიზი (1995)
184 რბოლა, 1 მოგება, 2 პოული, 4 უსწრაფესი წრე, 236 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მესამე ადგილი (1997)
ასპარეზობდა „ტირელში“ (1989-90), „ფერარიში“ (1991-95), „ბენეტონში“ (1996-97), „ზაუბერში“ (1998-99).
„პროსტშია“ 2000 წლიდან

**გასტონ მაცაკანე**
**არგენტინა**

დაიბადა 1975 წლის 8 მაისს ლა პლატაში. ცხოვრობს იქვე
სიმაღლე 173 სმ, წონა 68 კგ
უცოლო
17 რბოლა, 0 ქულა
ასპარეზობდა „მინარდიში“ (2000)
„პროსტშია“ 2001 წლიდან

PROST GRAND PRIX

## ეროუზი

გუნდი დაარსდა 1977 წელს
**პრეზიდენტი:** ტომ უოკინშოუ
**ტექნიკური დირექტორი:** მაიკ კაგლანი
**ბოლიდი — 2001:** „ეროუზ A22“. **ძრავა:** AMT.
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1978 წლიდან.
354 რბოლა; 1 პოული; 164 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — IV (1988)
ტესტ-პილოტი ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი)







**იოს ფერსტაპენი**
**ჰოლანდია**

დაიბადა 1972 წლის 4 მარტს მონტფორტში. ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 175 სმ, წონა 72 კგ
ცოლიანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994).
74 რბოლა, 16 ქულა.
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეათე ადგილი (1994).
„ეროუზშია“ 2000 წლიდან

**ენრიკე ბერნოლდი**
**ბრაზილია**

დაიბადა 1978 წლის 19 ოქტომბერს კურიტიბაში
სიმაღლე 178 სმ, წონა 68 კგ
უცოლო
ფორმულა 1-ის დებიუტანტი

orange ARROWS

# ბნრიკეს გზა: სამბადრომიდან ავტოდრომზე

**წლევანდელი** ჩემპიონატის მონაწილეთაგან ახალი ბოლიდი ყველაზე გვიან „ეროუზმა“ წარმოადგინა. ტომ უოკინშოუს გუნდის პრეზენტაცია გუშინ მელბურნის ავტოდრომზე მოეწყო.

„ეროუზ A22“ წინამორბედისგან გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდება. საიახლე ძრავაშია — შარშანდელი „სუპერტეკის“ ნაცვლად ნარინჯისფერ ბედაურებს წლეულს AMT გააქროლებს. ეს გახლავთ „პეჟოს“ ახალი ვერსია. გასულ წელს, ფორმულიდან ფრანგული კონცერნის წასვლის შემდეგ, მთელი მისი ავლადიდება 190 სპეციალისტთან ერთად კომპანია „აზია მოტორ ტექ“-მა შეიძინა.

წინა ჩემპიონატში გუნდმა 7 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაც 90-იან წლებში „ეროუზისთვის“ საუკეთესო შედეგია. ბოლო ორი სეზონი ბრიტანული საჯინიბოს ბოლიდის საჭეს ესპანელი პედრო დელა როსა უჯდა, მაგრამ 33 რბოლაში სამად სამი ქულის მოგროვების გამო უოკინშოუმ 30 წლის უნიჭო ვეტერანს გამოუცდელი ენრიკე ბერნოლდი ამჯობინა. 22 წლის ბრაზილიელი შარშან „ზაუბერის“ ტესტ-დრაივერად მუშაობის პარალელურად, ფორმულა 3000-ის ჩემპიონატშიც ასპარეზობდა და შოტლანდიელმა შეფმაც სწორედ მაშინ დაადგა თვალი. პირველი პილოტი კი ამჯერადაც ჰოლანდიელი იოს ფერსტაპენია, რომელიც სხვათა შორის, დელა როსასგან შორს არ წასულა — ხუთი წლის მანძილზე სულ რაღაც 16 ქულას მოუყარა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო აზრით, „ეროუზის“ მძღოლთა ტანდემი შორსაა საპოდიუმო დონისგან, გუნდის ხელმძღვანელობა მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. ტომ უოკინშოუ სულ ცოტა ათ რბოლაში ქულების მოპოვებას და საბოლოოდ მეხუთე-მეექვსე ადგილზე გასვლას გეგმავს. ეტყობა, ბერნოლდის იმედით, პერსპექტიულ ბრაზილიელზე ხომ რამდენიმე სხვა საჯინიბოც ნადირობდა.

**გია ახალაძე**




ახალი „ეროუზის“ პრეზენტაცია მელბურნის ტრასაზე მოეწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილამურობა

# ყველა მოსახსნელია!

„**მომხდარზე** სრულ პასუხს ვაგებ და ყველას ბოდიშს ვუხდი იმისთვის, რომ წარმატების მისაღწევად, მით უფრო სამშობლოს მიწაზე, უკანონო მეთოდები გამოვიყენეთ“ — ეს სიტყვები ფინელ ვაჟ მოთხილამურეთა ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, კარი პეკა კირომ გუშინწინ, თბილისის დროით შუაღამისას საჯაროდ განაცხადა, მაგრამ იქვე უცებ დააზუსტა, რომ მათ (მწვრთნელებმა და ექიმებმა) დაარღვიეს მხოლოდ სპორტის წესები და არა კანონი. სკანდალში კრიმინალის წილის დასადგენად ამჟამად ფინეთის გამოძიების ეროვნული ბიურო მუშაობს და ძიების შედეგებს, ალბათ, მომავალ კვირას გამოამზეურებს, მანამდე კი ფინეთში გაგრძელებულ ხმაურს მივყვეთ.

კიროს განმარტებით, იარი იზომეცა და იანე იმონენი, აგრეთვე თვით მიკა მულულა იღებდნენ ჰიდროქსიეთილს, პრეპარატს, რომელიც სისხლში პლაზმის კონცენტრაციის ასაწევად იხმარება. მულულა ჯერ ბოლომდე არ უმხელიათ, მისი დოპინგ-ტესტის მხოლოდ A ნიმუშმა აჩვენა დადებითი შედეგი, მაგრამ კიროს სიტყვების შემდგომ B ტესტის პასუხი უბრალო ფორმალობად უნდა ჩაითვალოს, იგი 99 პროცენტით დადებითი იქნება. დოპინგის თაობაზე, კიროს თქმით, ინფორმაციას ფლობდნენ ნაკრების ექიმები, რომლებიც დათხოვნას არ დაელოდნენ და სამსახური ნებით დატოვეს, აგრეთვე ქალთა მთავარი მწვრთნელი იორმა რისკი. ფინეთის სათხილამურო ოფიციოზის კვალი საქმეში ჯერ არსად ჩანს, თუმცა ბოდიში ქვეყნის თხილამურობის ასოციაციის თავმჯდომარემ, პაავო პეტაიამაც მოიხადა. მან გაიმეორა ადრე ბევრჯერ ნახსენები სიტყვა „კატასტროფა“. ამაში პეტაიას სავსებით ეთანხმება ფინეთის კულტურის მინისტრი სუვი ლინდენი, რომელსაც ერთი მოსაზრებაც გააჩნია. თხილამურობის ასოციაციის მთელი ხელმძღვანელობა მოსახსნელიაო, განაცხადა მინისტრმა გუშინწინ. საეჭვოა, მასა და პეტაიას ამ საკითხზეც ერთიანი აზრი ჰქონდეთ.

**დავით გულუა**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# რა გაუჭირდა ფლერის?

28 თებერვალი

**კოლუმბუსი 5:2 ფინიქსი (1:1 1:0 3:1)**
**1:0 ზაინცი 3 (20), 1:1 რენიკი 12 (25), 2:1 ვიბორნი 22 (9), 3:1 ობენი 48 (13), 4:1 ქუინტი 50 (2), 4:2 დოუნი 57 (18), 5:2 ტ. მანდერი 59 (1)**

**მონრეალი 4:2 პიტსბურგი (1:0 1:1 2:1)**
**1:0 კემპბელი 20 (7), 2:0 კემპბელი 31 (8), 2:... ოლივა 37 (1), 3:1 კოივუ 53 (10), 3:2 იაგრი 57 (33), 4:2 კოივუ 58 (11)**

**რეინჯერსი 4:2 ფლორიდა (1:0 2:0 1:2)**
**1:0 ლიჩი 7 (16), 2:0 მაკარტი 24 (7), 3:0 ნედვედი 39 (24), 3:1 ადამსი 49 (8), 4:1 დვორჟაკი 51 (19), 4:2 ადამსი 60 (9)**

**ტორონტო 2:1 სან ხოსე (1:0 0:1 1:0)**
**1:0 კორსონი 14 (8), 1:1 რიჩი 21 (12), 2:1 ბერეზინი 44 (20)**

**ედმონტონი 5:3 სენტ ლუისი (1:1 2:1 2:1)**
**1:0 ვეიტი 4 (18), 1:1 იანგი 17 (32), 2:1 პოტი 25 (10), 3:1 ჰორკოფი 27 (8), 3:2 იანგი 32 (33), 3:3 ტარჯონი 48 (26), 4:3 გრირი 52 (15), 5:3 კლირი 60 (10)**

**ვანკუვერი 5:4 დალასი (1:1 2:1 2:2)**
**1:0 ნესლუნდი 3 (37), 1:1 ლანგენბრიუნერი 20 (8), 2:1 დ. სედინი 30 (17), 2:2 ზუბოვი 33 (9), 3:2 შეფერი 40 (13), 3:3 მარშალი 51 (8), 4:3 ჟოვანოვსკი 52 (9), 5:3 პედერსონი 55 (4), 5:4 მოდანო 60 (22)**

**ანაჰაიმი 1:3 დეტროიტი (0:1 0:0 1:2)**
**0:1 დიუშენი 5 (6), 0:2 ლარიონოვი 47 (8), 0:3 ვერბიკი 57 (13), 1:3 ტიტოვი 60 (7)**

**ახალი** ათასწლეულის მიჯნაზე ჰოკეი ცხოვრებას არ ჩამორჩა და ისეთივე უცნაური და შოკისმომგვრელი მოვლენებით აღინიშნა. რამდენი რამ მოხდა თუნდაც ამ ბოლო ორ-სამ თვეში. თუნდაც იარომირ იაგრის დეპრესია და მარიო ლემიეს დაბრუნება რად ღირს, მაგრამ იმან, რაც ზამთრის ბოლო დღეს მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — რეინჯერსის ლიდერი და სულისჩამდგმელი ტეო ფლერი ოთხშაბათს სეზონის ბოლომდე გამოეთხოვა გუნდს და თავისი ნებით შეუერთდა ლიგის საგანგებო სარეაბილიტაციო პროგრამას.

მოგეხსენებათ, ამ პროგრამაში რაიმეში ეჭვმიტანილი და დამნაშავე ჰოკეისტები მონაწილეობენ. მათ შორის არიან დალასის მეკარე ედ ბელფორი და პიტსბურგელი კევინ სტივენსი. ბელფორმა სიმთვრალეში დებოში მოაწყო, ხოლო სტივენსი ნარკოტიკებზე დაიჭირეს. აი, ჰოკეისტს რომ თავისი ნებით მოენდომებინა მკურნალობა, ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. მიზეზი, რამაც ტეოს ეს გადაწყვეტინა, საზოგადოებისთვის უცნობია, რადგან თავად დუმილს არჩევს. კაპიტანმა მარკ მესიემ კი მხოლოდ ის აუწყა გულშემატკივრებს, რომ გუნდში იცოდნენ, რომ ფლერის გარკვეული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ რა, არ დაუკონკრეტებია. ამ განცხადებამ ნიუიორკელთა პრეზიდენტის ნილ სმიტის უკმაყოფილება გამოიწვია, საკუთარი სახლის ნაგავი სხვას რატომ უნდა აჩვენო, ეს კლუბის შინაური საქმეაო. „რეინჯერსი ყველაფერს გააკეთებს, რათა ტეოს ცხოვრების ამ ძნელ ჟამს დაეხმაროს და მხარში ამოუდგეს“ — ამის მეტი ვერაფერი გაიგეს ჟურნალისტებმა პრეზიდენტისგან.

უბედურება კი ის არის, რომ ფლერი, ისევე როგორც კიდევ ერთი უაღრესად საჭირო მოთამაშე, მეკარე მაიკ რიხტერი (ამას წინათ მძიმე ტრავმა მიიღო) გუნდს მძიმე მომენტში გამოაკლდნენ, მაშინ, როცა ნიუიორკელები თავგანწირვით ცდილობდნენ, პლეი ოფში გასვლის მცირედი იმედი მაინც შეინარჩუნონ. ცხადია, ყოველივე ამან ერთობ შეამცირა გუნდის შანსები. თუმცა იმავე ოთხშაბათს, ფლორიდასთან ჩატარებულ შეხვედრაში, ნიუიორკელებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა ეს დანაკლისი საბედისწერო არ გამხდარიყო. მეკარე კირკ მაკლინმა პაველ ბურეს ათივე დარტყმა მოიგერია, მცველმა ბრაიან ლიჩმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გოლი გაიტანა, რომელიც მისთვის მე-200 გამოდგა ნჰლში. შეტევით ხაზში კი კვლავ ნედვედის ჩეხურმა სამეულმა ითავა ლიდერობა.

მარიო ლემიე აშკარად დაიღალა. თავის მშობლიურ მონრეალში სეზონში ერთადერთხელ ჩასვლამ და ახმახ ჩეხუბისთავ კშიშტოფ ოლივასთან შეამხანაგებამაც ვერ მოუმატა პიტსბურგის ლიდერს ძალა. მართალია, მარიომ ერთი პასი მიითვალა და იაგრს გოლი გაატანინა, მაგრამ ისე მაინც ვერ გამოიყურება, როგორც დაბრუნების პირველ თვეს. სამაგიეროდ, მონრეალის ლიდერმა საკუ კოივუმ გაახარა თაყვანისმცემლები. მორიგი ტრავმის შემდეგ ფინელს ეს სეზონიც ჩაეშალა, მაგრამ იმის უნარი მაინც შერჩა, რომ ზოგჯერ ბენეფისი მოიწყოს და გული მოიფხანოს. კოივუმ ორი გოლი თავად გაიტანა, ორშიც წვლილი შეიტანა.

ბრწყინვალედ გამოიყურებოდა დეტროიტი თებერვალში და ასევე დაასრულა. ანაჰაიმთან შეხვედრაში მხოლოდ ბოლო წამებზელა მისცა მეტოქეს გოლის გატანის შესაძლებლობა. უბერებელი იგორ ლარიონოვი (1 გოლი, 1 პასი) ჩინებულად გაუძლვა რიცხვმრავლობის ბრიგადებს (სამივე შაიბა რიცხობრივი უპირატესობისას შეაგდეს) და თამაშის მთავარ ვარსკვლავად დასახელდა.

ამგვარი პატივი ტორონტოში მასპინძელთა მეკარე კერტის ჯოზეფს ერგო. ბოლო პერიოდში სან ხოსემ დაჯაბნა მეტოქე, მაგრამ კუჯომ „ზვიგენების“ 22-ივე დარტყმა აილო და გუნდს მინიმალური უპირატესობა შეუნარჩუნა. ორჯერ, როცა ისიც უძლური აღმოჩნდა, ძელმა გადაარჩინა მისი გუნდი.

ზედიზედ მეოთხედ მოიგო ედმონტონმა (სეზონში საუკეთესო შედეგი), რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დასავლეთის მერვე საპლეიოფო პოზიციაზე გამაგრდეს. სენტ ლუისთან მატჩის კვანძი შავკანიანმა მაიკ გრირმა გახსნა, რომელიც ყველაზე მარჯვე აღმოჩნდა 52-ე წუთზე კარის სიახლოვეს.

**სამველ ლარიბიანი**

ჩოგბურთი



ანდრე აგასის პირველ წრეში ძალიან გაუჭირდა

AP სან ხოსედან



პატრიკ რაფტერის ახალი იმიჯი

AP დუბაიდან

# ეძიე მწვრთნელი

**სან ხოსე (აშშ). SYBASE OPEN**
**დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 400 ათასი $**

ავსტრალიის ღია პირველობაზე ტრიუმფის შემდეგ პირველი მატჩი ანდრე აგასისთვის კინაღამ კატასტროფით დასრულდა — სან ხოსეს ტურნირის ხუთგზის ჩემპიონს პირველი წრის დაძლევაც გაუჭირდა.

არადა, ხოტორა ლასვეგასელს სწორედ ამ დღეს ძალიან სურდა იოლად მოგება: ბოლო ოთხი წლის მანძილზე პირველად, მის შეხვედრას ტრიბუნებიდან მშობლები — მაიკი და ელიზაბეტი ადევნებდნენ თვალს. „იმედია, ისინი ძალიან არ დაიტანჯნენ. მამაჩემი ცრუმორწმუნე კაცია, ჰგონია, რომ ჩემთვის უიღბლობა მოაქვს, ამიტომ ურჩევნია, ტელევიზორში მიცქიროს. სულაც არ მსურდა, ნერვიულობისგან ფრჩხილები დაეკვნიტათ, მაგრამ რას ვიზამდი. სამაგიეროდ, თამაში კარგი სანახავი მაინც გამოდგა“.

ანდრეს მეტოქე პირველ წრეში სამხრეთკორეელი ჰიუნგ-ტაიკ ლი იყო (მას ხშირად ლი ჰიუნგ-ტაიკსაც უწოდებენ, ასე რომ, სახელისა და გვარის გარჩევა თქვენზე იყოს), სწორედ ის ჩოგბურთელი, შარშან აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში გასვლით ყველა რომ გააოცა.

გაკვირვებული დარჩა კორეელის მძლავრი მიღებებითა და უკანა ხაზიდან აგრესიული თამაშით თავად აგასიც. კარგა ხნის მანძილზე დიდი სლემის ტურნირების შვიდგზის გამარჯვებულმა გასაღები ვერ მოარგო ლის, მეორე ხელი დათმო და გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ბრეიკითაც ჩამორჩა.

„ის კარგი ჩოგბურთელია, ძალიან სწრაფი და მრავალფეროვანი არსენალით. ძნელია, გამოიცნო გადაგდებაზე დაიწყებს თამაშს თუ შეგიტევს, პირდაპირ დაარტყამს თუ დიაგონალურად. ცოტაც და წავაგებდი. საბედნიეროდ, ჩოგბურთში მეტოქეები ხშირად ნერვიულობენ მნიშვნელოვანი მატჩის ბოლოს, მეც ეს დამეხმარა.“

ასე რომ, ანდრემ შესანიშნავად ისარგებლა კორეელის გამოუცდელობით, 2:3-დან მოყოლებული მესამე ხელში ზედიზედ ოთხი გეიმი მიითვალა და მერვედფინალში გააღწია 7:5, 3:6, 6:3.

„საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ცოტა მეშინოდა აგასის სახელის, საქმის ბოლომდე მიყვანაშიც ამან შემიშალა ხელი“ — მეტოქის თეორია დაადასტურა ლიმ.

არანაკლები ბრძოლა გადახდა პირველ წრეში შარშანდელ ჩემპიონ მარკ ფილიპუსისსაც (3). „სკადმა“ წინა კვირაში თავისთვის სეზონის პირველივე ტურნირზე მემფისში ტიტული მოიგო, მაგრამ იქვე ავადაც გახდა.

„აქ ორშაბათს შუადღისას ჩამოვედი, მაღალი ტემპერატურა მქონდა. იმდენი ოფლი ვღვარე, გავსავათდი. გუშინ დილის ოთხ საათზე ადგომა, ტანსაცმლის გამოცვლა და ერთბაშად 3 მაისურის ჩაცმა დამჭირდა, დღისითაც მხოლოდ 15 წუთი ვივარჯიშე. ბუნებრივია, საძაგლად ვითამაშე, მაგრამ, რაც მთავარია, მომდევნო ეტაპზე გავედი“.

ფილიპუსისის ავადმყოფობით ავსტრიელმა მარკუს ჰიპნქმა ვერ იხეირა. ავსტრალიელი უამრავ შეცდომას უშვებდა, ხშირად სირბილის ხალისიც არ ჰქონდა, სამაგიეროდ, საკუთარ მოწოდებებს, როგორც წესი, იოლად იგებდა და გადამწყვეტიც სწორედ ეს აღმოჩნდა 6:3, 6:7(7:9), 6:3.

ტომი ჰაასს (4), ზემოხსენებული ბობოლებისგან განსხვავებით, პრობლემა არ შექმნია, თანამემამულე კრისტიან ვინკს აუღელვებლად 6:4, 7:5 მოუგო. გერმანელს ამჟამად საკუთარ ფორმაზე მეტად სხვა რამ აწუხებს: „მხოლოდ იმაზე ვღელავ, რომ ამ წუთისთვის მწვრთნელი არ მყავს. ასე მგონია, ყველა კარგი მწვრთნელი საუკეთესო ათეულის წარმომადგენლებმა გაინაწილეს“.

თავის წინა მოძღვარს, გევინ ჰოპერს ჰაასი სეზონის დასაწყისში დაშორდა, მერე ორი კვირა პეტერ კორდას ხელმძღვანელობით ივარჯიშა, მარტში ცნობილ სპეციალისტს ჰაროლდ სოლომონთან ითანამშრომლებს, თუმც ყველა მათგანს ცოლ-შვილი ჰყავს და გერმანელთან ერთად მოგზაურობაზე ყაბულს არ არიან.

ახლა ჰაასი აპირებს, ლეგენდარულ ბორის ბეკერს მიმართოს დახმარებისთვის: „ის ცოტა ხნის წინ ცოლს გაშორდა, ასე რომ, იქნებ დამთანხმდეს. ისეთი ვინმე მჭირდება, ვინც იოლად გამიგებს და ვისაც პატივს ვცემ. ბორისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, იქით კვირაში რომ დავურეკავ, შეიძლება მწვრთნელობა ვთხოვო“.

**პირველი წრე: ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — სებასტიან ლარო (კანადა) 6:3, 6:1; უეინ არტურსი (ავსტრალია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (6, აშშ) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:3, 6:7(0:7), 6:3; გრეგ რუზედსკი (8, ინგლისი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:1, 7:6(7:2); ენდი როდიკი (აშშ) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 6:4; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — სესილ მემიტი (აშშ) 6:2, 6:2**

**დუბაის (საემიროები)**
**ღია პირველობა.**
**ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

დუბაიში სტუმრობა ტურნირის ორი ფავორიტის — ესპანელი ალექს კორეჩასა (4) და ავსტრალიელი პატრიკ რაფტერისთვის მეტად ხანმოკლე გამოდგა.

კორეჩამ პირველი წრის მატჩი უცნობ გერმანელ ლარს ბურგსმიულერთან ხეირიანად დაიწყო, 4:1-თაც დაწინაურდა, მაგრამ აქედან მოყოლებული ისე აურია, შეხვედრის ბოლომდე მხოლოდ ორი გეიმის მოგებაღა მოახერხა — 4:6, 2:6. „ვერც კი აგიხსნით, რა მომივიდა. საშინლად ვაწოდებდი. ისე საშინლად, სულ ვცდებოდი და ვერ დავრბოდი. უცნაურია“ — აღნიშნა შეფიქრიანებულმა ესპანელმა, რომელსაც ორი წლის წინ მსგავსი სინდრომის გამო ლამის მთელი სეზონი ჩაუვარდა.

საფირმო კიკინასა და წვერებს გამოთხოვებულმა, თავგადაპარსულმა პატრიკ რაფტერმა პირველ წრეში ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ნიკოლას კიფერი გაანადგურა. ამაზე კარგად, ალბათ, ვერც ვითამაშებო, განაცხადა კმაყოფილმა ავსტრალიელმა მატჩის შემდეგ, თუმცა უკვე ერთი დღის მერე მისი თავდაჯერებისგან ნატამალიც აღარ დარჩა.

უკრაინელ ანდრეი მედვედევთან შეხვედრაში აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონმა ბადესთან უჩვეულოდ ბევრი დარტყმა გააფუჭა, ორმაგი შეცდომებითაც ყველაზე უდროო მომენტებში გამოირჩა და მოგება მეტოქეს გადაულოცა 7:6(7:1), 4:6, 6:1

ბუნებრივია, მედვედევი ძალიან კმაყოფილი დარჩა, მას ხომ შარშან ფეხის ტრავმის გამო სეზონის მთელი მეორე ნახევარი გაუცდა: „დღეს რომც წამეგო, საკუთარი თამაშით მაინც ნასიამოვნები ვიქნებოდი, თითქმის ყველაფერი გამომდიოდა. მგონი, დიდი ხანია, ასე კარგად არ მითამაშია.

ადრეული მარცხების მიუხედავად, კორეჩამ და რაფტერმა ერთი მნიშვნელოვანი საქმე მაინც მოაგვარეს. მათ შარშანდელი დევისის თასის ფინალიდან ესპანელებსა და ავსტრალიელებს შორის შემორჩენილ ურთიერთწყენაზე ისაუბრეს. შეგახსენებთ, რომ მაშინ ოზები მასპინძლების ქცევითა და ქომაგობით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ.

„არ მინდოდა, რომ მას ჩვენზე, ჩოგბურთელებზე წყენა გაჰყოლოდა. 15 ათასი მაყურებლის გაკონტროლება ძალიან ძნელია, შეიძლება, ბარსელონაში ზედმეტად ემოციურად გვქომაგობდნენ, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ იყო“ — აღნიშნა კორეჩამ.

რაფტერი აღფრთოვანებული დარჩა ესპანელის საქციელით: „ალექსი მართლა კარგი ტიპია. მისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა ჩემთან ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ამისი სურვილი პირველმა გამოთქვა. მერე ბოდიშიც მომიხადა თავისიანების სახელით.“

**მერვედფინალი: მარატ საფინი (1, რუსეთი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 7:5, 7:6(7:5); მაგნუს ნორმანი (2, შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 1:6, 6:3, 7:6(7:2); ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) 7:6(7:4), 7:5; დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 5:7, 7:6(7:3), 6:3; ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4.**

**სკოტსდეილი (აშშ).**
**TATE FARM TENNIS CLASSIC**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი**

სკოტსდეილის ტურნირზე, წესით და რიგით, უკვე მერვედფინალური მატჩების უმეტესობა უნდა იყოს დასრულებული, მაგრამ არიზონას უდაბნოში სწორედ საჩოგბურთო დღეებშია თავსხმა — შარშან აქ წვიმის გამო ლინდსი დევენპორტსა და მარტინა ჰინგისს შორის ფინალის გამართვაც ვერ მოხერხდა, წლეულს კი აგერ უკვე ორი დღეა, ჩოგბურთელები გასახდელში ყურყუტებენ.

**პირველი წრე: მაგუი სერნა (ესპანეთი) — ჟუსტინ ენენი (6, ბელგია) 7:6(7:5), 7:6(7:5); ლაიზა რეიმონდი (7, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:0, 6:1; ელენა ლიხოვცევა (9, რუსეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:3, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლინარესიდან




## ნოსტალგია

ეს ფოტო ძველი როდია, ახალია. ლინარესის სუპერტურნირზე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი დიდი მოჭადრაკე, ორი ერთმანეთთან ნაომარი ექს-ჩემპიონი, გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი. ამათი ურთიერთბრძოლის დაუვიწყარი და მძიმე ისტორია არაერთ ტომს დაიტევს, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულია, საბჭოთა დროის, ასე ვთქვათ და, ნაშთი.

დღეს კი, ამ ერთგვარ უსიამოვნო ნოსტალგიის აღმძვრელ თამაშში გარი კასპაროვი იმარჯვებს. უფრო სწრაფად, ვიდრე მაშინ.

TELE BASKET




## სმოდიში ყოფილა

ამბოხებულთა ევროლიგის მეოთხედფინალის საპასუხო თამაშში იტალიურმა „კინდერმა" სულ ბოლო წამს გამოგლიჯა გამარჯვება ლიუბლიანის „ოლიმპიას" — 81:79. ლიუბლიანელები შინ დამარცხდნენ და ნახევარფინალს მიღმა დარჩნენ. სლოვენიის დედაქალაქის გუნდს თურმე თავად სლოვენელმა, „კინდერში" მოთამაშე მატიაჟ სმოდიშმა (№8) მოუღო ბოლო. ადრე სმოდიში ნოვო მესტოს „კრკას" მოთამაშე ყოფილა, ეს „კრკა" კი „ოლიმპიას" დანასისხლი მეტოქეა შიდასლოვენიურ ამბავში.

## მარიოს წაგება



REUTERS პიტსბურგიდან

მშობლიურ მონრეალში ჩაბრძანებულა სათამაშოდ ჰოკეის მეუფედ „პიტსბურგ პინგვინზში" ქცეული მარიო ლემიე. ამასწინათ თავისი გუნდის საშველად კვლავ ყინულზე გამოსული, ჰოკეიში მობრუნების შემდეგ პირველად ჩასულა კანადურ ქალაქში და დიდი ვერაფერიი ტურა დაუჭერია. პიტსბურგელებს 2:4 წაუგიათ, ლემიეს კი ერთადერთ პასით გამოუჩენია თავი. „პიტსბურგის" პატრონ-დირექტორ-ლიდერ-მოთამაშეს კი რაღა თქმა უნდა, ამ წაგებების მიუხედავადაც ეკუთვნის დაუზარელი, ხანგრძლივი ტაში.

## ისტუმრებენ

შავად წასულა „ვაშინგტონ ვიზარდსის" მოთამაშის, როდ სტროკლენდის საქმე. კლუბის პატრონს, თვით მაიკლ ჯორდანს უთქვამს მისთვის, როდ, აღარა გვჭირდები, ან შენი კონტრაქტი თავადვე გამოისყიდე, ან ჩვენ გაგიშვებთ სხვა გუნდში.



REUTERS ბომბეიდან




## როდემდე?

ეს რა ამბავი დატრიალდა ბომბეიში გაზაფხულის პირველ დღეს!

თავიდათავი კრიკეტია. პირველი ინდურ-ავსტრალიური ტესტი ოზებს სულ ათი ბჯის ლეწვით მოუგიათ, ზედიზედ მეთექვსმეედ დაუმარცხებიათ ჰინდუნი და კრიკეტის საცქერლად მოსული ხალხი ჯებირებს მოსკდომია.

როდემდე?

აი, შეკითხვა, რომლის პასუხიც ბომბეელმა პოლიციელებმა არ იციან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge